# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№106 (9786) 2024 წლის 16 სექტემბერი. ორშაბათი

ფასი 1 ლარი


## ბიძინა ივანიშვილი:

## საკონსტიტუციო უმრავლესობა ჩვენი ახირება არ არის, ეს ქვეყნის შეუქცევად განვითარებას სჭირდება!



2–3

დღეს ოპოზიცია ეწოდება ომის პარტიას, რომელიც ქვეყნის საზიანოდ ნებისმიერ დავალებაზეა ხელისმომწერი, ხოლო მეორე მხარეს არის „ქართული ოცნების" ხელისუფლება, რომელიც ეროვნული ინტერესების დაცვასა და ქვეყნის განვითარებაზეა ორიენტირებული.



7

## ერი არასოდეს ივიწყებს თავის ღირსეულ შვილებს

**მერაბ ბერძენიშვილის უკვდავება**

## დიდი აგრარიკოსი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე

მამია გოგოლიშვილის კვალი საუკუნეში



5

## კიმა სვანაძე - ქართული ბანკის ბერმუხა



6



4

## უშველე რამე

**ქიქე-ხაბე-გირჩ-ეკას ოპოზიციას, მიშა მასწ!**

მანანა გურგენაშვილის წუთისოფელი

## „მადლიერება ხსოვნაა მიღებული სიკეთისა, რომელიც ქვაზე დაწერილივით ინახება გულში"

8



# ბიძინა ივანიშვილი:

# საკონსტიტუციო უმრავლესობა ჩვენი ახირება არ არის, ეს ქვეყნის შეუქცევად განვითარებას სჭირდება!




## 14 სექტემბერს „ქართულმა ოცნებამ" წინასაარჩევნო კამპანია გორში გამართა

## ქართველი ხალხი საკუთარ ბედს თვითონვე განსაზღვრავს!

**ქართველი ხალხი „ქართულ ოცნებასთან" ერთად იქნება ის, ვინც თავის ბედს თვითონვე განსაზღვრავს და უზრუნველყოფს ამ ქვეყნის ნათელ მომავალს, ევროპული ოჯახის სრულფასოვან წევრობას!**

**შიდა** ქართლში მცხოვრებმა ხალხმა საკუთარ თავზე გამოცადა როგორც ოკუპაციის, ასევე საკუთარი ხელისუფლების, 2012 წლამდე მაქვს საუბარი, ქმედებებისგან გამოწვეული ზიანი. თქვენ იქით შეგიძლიათ მოუყვეთ და ასწავლოთ სხვა ქვეყნის მოქალაქეებს ოკუპაციის, ომის, მათი თანმდევი წარუშლელი დაღის და, მეორე მხრივ, მშვიდობის მნიშვნელობის შესახებ. ქართლის ისტორიაც ეს არის. მშვიდობისთვის, ღირსებისთვის, რწმენისთვის და სამშობლოსთვის ულალატო ბრძოლის ისტორია და არა უცხო ძალების დავალებების შესრულება.

აგენტურული პარტიები დღეს ლაპარაკობენ ერთ ხმაში და ხშირად მოისმენთ მათგან – უცხოეთიდან შემაშფოთებელი გზავნილები ისმისო!

შემაშფოთებელი კი არა გამაფრთხილებელი გზავნილებიც კი არ გვახსოვს, როცა პირდაპირ ქუჩაში კლავდნენ ახალგაზრდა ბიჭებს. ხალხს ღამე ბიზნესებს აფორმებინებდნენ სხვებზე, არეკეტებდნენ, ტელევიზიებს იტაცებდნენ, ტერიტორიებს რუსეთს აბარებდნენ. მაშინ არათუ შემაშფოთებელი, ელემენტარული გაფრთხილების მიმანიშნებელი გზავნილებიც კი არ გვახსოვს და დღეს პირიქით, თურმე შემაშფოთებელი გზავნილები ისმის. კარგად უნდა დავფიქრდეთ, რასთან არის ეს ყველაფერი დაკავშირებული. რა ინტერესია ასეთი საქართველოს მიმართ. მათ მიერ დანიშნული ოპოზიცია ვერ მოდის თქვენთან, ამ ხალხთან ვერ მოდის, ვერ გელაპარაკებიან. პრაქტიკულად არ ატარებენ ისინი საარჩევნო კამპანიას. სამაგიეროდ, ისინი დადიან სხვადასხვა ქვეყნებში ზოგან ღიად, ზოგან ფარულად იმისთვის, რომ უცხოეთიდან რაც შეიძლება მეტი შემაშფოთებელი გზავნილი წამოვიდეს"..

...ქვეყნის გარედან რაც შეიძლება მეტი მაშველი რგოლი გადმოუგდონ წყალწაღებულ ოპოზიციას, რომელსაც მაინც არაფრის შანსი აქვს, რადგან ქართველებმა კარგად გავაანალიზეთ წარსულიც, აწმყოც და ქართველი ხალხი ჩვენთან, „ქართულ ოცნებასთან" ერთად იქნება ის, ვინც თავის ბედს თვითონვე განსაზღვრავს და უზრუნველყოფს ამ ქვეყნის ნათელ მომავალს, ევროპული ოჯახის სრულფასოვან წევრობას.

ისევე როგორც ჩვენ ყველამ ერთად უზრუნველვყავით, რომ ჩვენი მმართველობის პიროებში ომის რისკი დასულიყო ნულამდე. ისევე როგორც დავიცავით ჩვენი ქვეყნის ღირსება და საქართველო შედგა, როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო და მომავალში ასე გაგრძელდება.

**მამუკა მდინარაძე**
**„ქართული ოცნების"**
**აღმასრულებელი მდივანი**

## ომის ფასი და მშვიდობის მნიშვნელობა!

**2012 წლის პირველი ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ ქვეყანაში დამყარდა 12-წლიანი მშვიდობა, რაც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ არცერთი მმართველის დროს არ მომხდარა!**

**დღეს** მსურს ჩემი გამოსვლის ძირითადი დრო დავუთმო ომის ფასზე და მშვიდობის მნიშვნელობაზე საუბარს და თქვენთან ერთად გავიხსენო აგვისტოს ომის მძიმე შედეგები, მე კარგად ვიცი, ვის ვესაუბრები დღეს და ვინ თუ არა თქვენ, ჩვენო მაგარო ქართლელებო, მებრძოლებო, იცით ომის ფასიც და მშვიდობის ფასიც. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ უკვე 16 წელი გავიდა და ამ ომმა დაგვიტოვა თითოეულ ჩვენგანს მოუშუშებელი იარა. ის ჭრილობა, რომელიც არასოდეს არ შეხორცდება, სანამ დროებით დაკარგულ ტერიტორიებს მშვიდობით არ დავიბრუნებთ.

ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს აგვისტოს ომის მძიმე დღეები და ის საშინელი ტრაგედია და განსაცდელი, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს ქვეყანას და განსაკუთრებით თქვენს რეგიონს, ეს ომი განსაკუთრებულად მტკივნეული აღმოჩნდა თქვენთვის, რადგან პირადად გამოსცადეთ ომის შედეგები, დავკარგეთ 100-ზე მეტი სოფელი, კოდორის ხეობა, ასეულობით ჩვენი გმირი ჯარისკაცი, პოლიციელები, სამოქალაქო პირები, ჩვენი თანამოქალაქეები და ამ ომმა გამოიწვია ჩვენი ძირძველი ტერიტორიების დროებითი ოკუპაცია, დაბრუნდა ჩვენს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარი, რომელმაც დატოვა საქართველო 2007 წელს, თუმცა მაშინდელმა ხელისუფლებამ შეგნებულად არ აგვარიდა ეს ომი, რითაც ჩაიდინეს ღალატი და გაწირეს ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხი. ამ ომმა კიდევ ერთხელ გამოაჩინა გმირი ქართველი ხალხის სახე. ჩვენ ვიხილეთ გმირი ჯარისკაცების გმირული ისტორიები, შინდისის ბრძოლა ანწუხელიძის და სხვათა გმირული საქმენი, მაგრამ ასევე სამწუხაროდ ვიხილეთ მხდალი გამყიდველი ხელისუფლების სახე, გახსოვთ კარგად მთელს მსოფლიოში თავი როგორ მოგვჭრა მაშინდელმა პრეზიდენტმა, რომელმაც ომის დღეებში, 11 აგვისტოს, მაშინ როცა ჩვენი შინდისელი გმირები, ჩვენი ჯარისკაცები თავგანწირვით იბრძოდნენ და თავს სწირავდნენ საკუთარ მიწა-წყალს, იმავე დღეს ვიხილეთ მიწაზე გართხმული, შეშინებული პრეზიდენტი, ვნახეთ გაქცეული მინისტრები და პარლამენტის წევრები, ეგრეთ წოდებული მჩაგვრელი პოლიტიკური ელიტა, რომელმაც გაწირა ჩვენი ქვეყანა და ხალხი ამ ომისთვის. ამ ომმა დაგვანახა, რომ როცა გამყიდველი ხელისუფლებაა სათავეში და როცა ეგრეთ წოდებული აგენტურა მართავს ქვეყანას, ისინი არ ზრუნავენ ჩვენს ხალხზე, არამედ ზრუნავენ მხოლოდ საკუთარ თავზე, მხოლოდ საკუთარ ძალაუფლებაზე, მხოლოდ საკუთარი ოჯახების კეთილდღეობაზე. გამახსენეთ რომელი პოლიტიკოსი, მინისტრი თუ პარლამენტარი ან მათი ოჯახის წევრი, რომელიც ომობდა და შეეწირა ამ ომს. რა თქმა უნდა, არცერთი – ვინ სად გარბოდა, არ იცოდნენ, ერთმანეთს ასწრებდნენ გაქცევისას, ამ დროს ჩვენი საამაყო, გმირი ხალხი, გმირი ჯარისკაცები, გმირი პოლიციელები შეეწირნენ მათ ამ ბინძურ ავანტიურას და უგუნურობას, რომ არა ჩვენი პატრიარქის პირადი ჩართულობა, გამბედაობა და თავდადება, გახსოვთ, რომ ჩვენი გმირების ცხედრების გამოყვანაც კი არ ადარდებდა სააკაშვილის ხელისუფლებას.

რა მოხდა ომის შემდეგ? ჯერ გმირების ცხედრებიც არ ჰყავდათ გადმოსვენებული, როცა გამყიდველმა ხელისუფლებამ რუსთაველზე შეკრიბეს ჩვენი ხალხი და წაგებული ომი აზეიმეს და მიშა, მიშა აძახებინეს. ამის შემდეგ მისი დავალებით ხელი მოაწერეს ანტისახელმწიფოებრივ, სრულიად მოღალატეობრივ რეზოლუციას, სადაც ქართველი სამხედროები დაადანაშაულეს საბრძოლო მოქმედებების დაწყებაში, ეს ხომ პირდაპირი ღალატი იყო ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესის. რამდენიმე თვეში ამ ომიდან, იმ დროს, როცა რუსეთი აშენებდა ახალ რუსულ სამხედრო ბაზებს ოკუპირებული აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე, სააკაშვილის გამყიდველმა მთავრობამ რუსეთს გაუხსნეს ჯერ ცალმხრივად უვიზო რეჟიმი, პირადად საზღვარზე ხვდებოდა თავად ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი რუს ტურისტებს, გახსოვთ, შემდეგ როგორ გადასცეს ჩვენი სახელმწიფოს აქტივები სტრატეგიული ობიექტები, ენერგეტიკული ობიექტები და ცხოვრება გააგრძელეს ბედნიერად, ვითომ არაფერი არ მომხდარა და სამწუხაროდ, მინდა ასევე აღვნიშნო, რომ ასევე მოიქცა მთელი დანარჩენი სამყაროც, მთელი მსოფლიო, ყველამ გააგრძელეს რუსეთთან ვაჭრობაც, პარტნიორობაც და თანამშრომლობაც"...იყო გაკვეთილი იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიებისთვის სხვა არავინ იომებს.

**„ეს ომი არის ჩვენთვის გაკვეთილიც, ჩვენს გამო და ჩვენი ტერიტორიებისთვის არავინ არ იომებს, არავის არ ადარდებს, უნდა ვთქვა პირდაპირ, რამდენი ქართველი დაიღუპება ომში, რადგან ყველას აქვს საკუთარი ინტერესი, ყველას ადარდებს მხოლოდ საკუთარი ქვეყნის და ხალხის ინტერესი.**

2012 წლის პირველი ოქტომბრის ისტორიული გამარჯვების პირველივე დღიდან ჩვენს ქვეყანაში დამყარდა უპრეცედენტო 12-წლიანი უწყვეტი მშვიდობა, რაც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ არცერთი მმართველის დროს არ მომხდარა, ჩვენ არ გვქონია ომი და არ დაგვიკარგავს დამატებით ტერიტორიები. რა თქმა უნდა, ეს არის ნამდვილი პატრიოტი და მებრძოლი კაცის, ჩვენი ლიდერის ბატონი ბიძინა ივანიშვილის დამსახურება! ამიტომ გავიმეორებ კიდევ ერთხელ, სანამ ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება" არის ხელისუფლებაში ჩვენს ქვეყანაში იქნება მშვიდობა! იქნება სტაბილურობა და განვითარება.

დღეს მსოფლიოში ურთულესი და არაპროგნოზირებადი გარემოა, მესამე მსოფლიო ომის საფრთხე მატულობს და ბირთვული იარაღის გამოყენების ალბათობა გაზრდილია, ამიტომ თითოეული პასუხისმგებლობიანი ჩვენი მოქალაქის ვალდებულებაა ჩვენი ქვეყნის დაცვა და გადარჩენა ომისგან და ომში ჩათრევისგან! ამიტომ 26 ოქტომბერს ჩვენ ყველანი უნდა დავირაზმოთ და ქვეყნის გამყიდველებს კიდევ ერთხელ უნდა გავცეთ სამართლიანი პასუხი და გამანადგურებელი შედეგით უნდა დავამარცხოთ ომის და ქაოსის მომტანი ბოროტი ძალები. 26 ოქტომბერს ჩვენ გავიმარჯვებთ თქვენთან ერთად. გაიმარჯვებს მშვიდობა და გაიმარჯვებს სიმართლე! გაიმარჯვებს საქართველო და ჩვენი მაგარი ხალხი! ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი"!

**ირაკლი ღარიბაშვილი,**
**„ქართული ოცნების" თავმჯდომარე.**

## ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობა ვაქციეთ შესაძლებლობად და არა იარაღად მტრისა თუ მეგობრის ხელში!

**მშვიდობის** შენარჩუნებაზე არანაკლებ ძნელია მიტევება, ომის შემდეგ ნდობის აღდგენა, გაერთიანებულ ქვეყანაში საერთო ენის გამონახვა.

სწორედ ასეთია პოლიტიკურად შემდგარი სახელმწიფო და არა ის ლოზუნგების ქვეყანა, რომელშიც ოპოზიციას და მის აქტივისტებს უნდათ, რომ დაგვაბრუნონ. დიახ, მშვიდობის შენარჩუნებაზე არანაკლებ ძნელია მიტევება, ომის შემდეგ ნდობის აღდგენა, გაერთიანებულ ქვეყანაში საერთო ენის გამონახვა. რაოდენ დიდი ტრაგედიაა, რომ ქართველებსა და ოსებს შორის წლების განმავლობაში დიდი ძალისხმევით ჩაყრილი ნდობის ნერგები დღეს ოპოზიციაში მყოფი ადამიანების მიერ ერთი ხელის მოსმით იქნა გადასხეპილი. ნდობის აღდგენის ნაცვლად, მათ ყველაფერი გააკეთეს დაპირისპირების, მტრობისა და უნდობლობის გაღვივებისთვის. ისინი ერთნაირად ექცეოდნენ ოსებსა და ქართველებს – მათი მთავარი მიზანი და უნარი ხალხის დაჩაგვრა, დამორჩილება და გამწარება იყო, რაც თანაბრად გამოუვიდათ მთელი მოსახლეობის მიმართ, ეთნიკურობის განურჩევლად.

ყველა მომხდურმა იცის, რომ, თუ საქართველოს დაზიანება გინდა, მისი ხერხემალი – შიდა ქართლი – უნდა გატეხო. ამიტომაც, კანონზომიერია, რომ სწორედ ამ მხარეში, ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში, ორი ომის გადატანა მოუხდა საქართველოს!

ამქვეყნად, ყველაზე დიდი სახელმწიფოებრივი გამჭრიახობა და ძალისხმევა სჭირდება მშვიდობას და არა ომს. ომის დაწყება მარტივია, ის ნებისმიერმა სულელმა შეიძლება დაიწყოს. ძნელია მშვიდობა, ძნელია შენება, რაც უკვე 12 წელია, ჩვენი ხელისუფლების საზრუნავია. და სწორედ იმიტომ, რომ ვირჩევთ წინდახედუ-

საქართველოს რესპუბლიკა

# გორი, 14. 09. 2024

ლობას და არა თავქარიანობას, ვირჩევთ ჩვენი ხალხის ინტერესებით მოქმედებას და არა სხვა ქვეყნების ინტერესების მსახურებას, ერთადერთი ხელისუფლება აღმოვჩნდით, ვინც შეძლო შეენარჩუნებინა მშვიდობა, ერთი მისხალი ეროვნული ინტერესის დათმობისა და უკანდახევის გარეშე...

და გგონიათ მათ რამე ასწავლა ომმა და ტრაგედიამ, ან 2012 წლის მერე ყველა არჩევნების წაგებამ, ან მათი დანაშაულების საქვეყნოდ აღიარებამ?

მათთვის რომ მოგვესმინა, მოხალისეები უნდა გაგვეგზავნა უკრაინაში და გავმხდარიყავით სამხედრო დაპირისპირების მხარე, დაგვეწესებინა სანქციები და გავმხდარიყავით ეკონომიკური დაპირისპირების მხარე და როდესაც ესკალაცია ლოგიკურ შედეგამდე მივიდოდა და ქვეყანა ომის ქარცეცხლში კიდევ ერთხელ გაეხვეოდა, კვლავ დავინახავდით მათი მანქანების კოლონებს წითელი ხიდის და სარფის მისადგომებთან.

და რას გვპირდებიან ახლა? ისევ იმავეს – ომში მოხალისეების გაგზავნას, სანქციების დაწესებას, ესკალაციას. მათ კვლავაც სურთ, რომ გეოპოლიტიკა ქვეყნის წინააღმდეგ მოატრიალონ და საქართველოსთვის წყევლად აქციონ!

როგორ შეიძლება, რაიმე იყოს იმაზე უპირატესი,რასაც ადამიანებმა სიცოცხლე შესწირეს? ვერც ერთი იდეა ამ მიზანზე მაღლა ვერ დადგება. ქვეყნის გაერთიანებისკენ კი გზა მშვიდობაზე გადის და არა ომზე.

ამიტომაც, ჩვენთვის 26 ოქტომბრის არჩევნები უნდა იქცეს წყალგამყოფად, რომ აღარასოდეს საქართველო აღარ ჩაეფლოს მტრობისა და ღალატის მორევში. პირიქით, ჩვენი ამოცანა უნდა იყოს ქვეყნის, ხალხების, ადამიანების, მოყვრების, მეგობრების გაერთიანება, მიტევება, ნდობა და, რა თქმა უნდა, როგორც ამ ყველაფრის დიდი სიმბოლო, პოლიტიკურად ერთიანი საქართველოს აღდგენა!

**შალვა პაპუაშვილი,**
**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.**

## საქართველოს აუცილებლად ექნება ნათელი, ევროპული მომავალი!

**ვინ** თუ არა თქვენ, შიდა ქართლის მოსახლეობამ იცით ყველაზე უკეთ მშვიდობის ფასი. თქვენ საკუთარ თავზე ყველაზე მძიმედ გამოსცადეთ 2008 წლის ომთან დაკავშირებული ტკივილი, ტკივილი, რომელიც საქართველოს და ამ მხარეს წინა ხელისუფლების მოღალატეობრივმა დანაშაულმა მოუტანა. აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, რომ ქართლელები 26 ოქტომბერს ძალიან მკაფიოდ ეტყვით უარს ომს და აირჩევთ მშვიდობას, რაც საქართველოს წინსვლისა და განვითარების აუცილებელი პირობაა.

შიდა ქართლი ინახავს ჩვენი ქვეყნის უძვირფასეს მემკვიდრეობას, უამრავ ეკლესია-მონასტერს, რომლებიც შეგვახსენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, გავუფრთხილდეთ ჩვენი ეროვნული იდენტობის თითოეულ საყრდენს – მამულს, ენას და სარწმუნოებას. 26 ოქტომბრის არჩევნები არის გადამწყვეტი რეფერენდუმი, სადაც ხალხმა ასევე უნდა გააკეთოს არჩევანი ამორალურ პროპაგანდასა და ტრადიციულ ფასეულობებს შორის. დარწმუნებული ვარ, რომ ქართლელები ამ შემთხვევაშიც მკაფიო არჩევანს გააკეთებთ, უარს ეტყვით ადამიანის ღირსების წაშლის ყველა მცდელობას და აირჩევთ ტრადიციულ ფასეულობებს!

2012 წლამდე საქართველოს მართავდა უსამშობლო ადამიანების ერთობა, უცხოური აგენტურა, რომელმაც ქართული სახელმწიფოს და ქართველი ხალხის წინაშე უამრავი დანაშაული ჩაიდინა. პატიმრებით გადავსებული ციხეები, ადამიანების წამება და არაადამიანური მოპყრობა, ქუჩაში ახალგაზრდების მკვლელობა, ბიზნესის ტერორი, ტელევიზიების მითვისება, სამაჩაბლოს და აფხაზეთის დაკარგვა – ეს იმ დანაშაულების მხოლოდ არასრული ჩამონათვალია, რომლებსაც „ნაცმოძრაობის" რეჟიმი ჩადიოდა!

მანვე მადლობა გადაუხადა ბიძინა ივანიშვილს საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისთვის და უწყვეტი 12-წლიანი მშვიდობისთვის, რომელმაც ქვეყანას ძალიან დიდი წინსვლა მოუტანა.

კიდევ ერთხელ მინდა, მადლობა გადავუხადო ადამიანს, რომელმაც სისხლიანი რეჟიმი წარსულს ჩააბარა და საქართველოს დემოკრატიული გარდატეხა მოუტანა. ყველა ის მიღწევა, რომელიც ჩვენს ქვეყანას გასული 12 წლის მანძილზე ჰქონდა, სწორედ ამ დემოკრატიული გარდატეხის შედეგია. დიდი მადლობა ბატონ ბიძინა ივანიშვილს საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისთვის და უწყვეტი 12-წლიანი მშვიდობისთვის, რომელმაც საქართველოს უკვე ძალიან დიდი წინსვლა მოუტანა და მომავალშიც ასეთივე წინსვლას მოუტანს!

ჩვენ წარსულს ჩავაბარეთ ადამიანების მკვლელობის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სისტემური პრაქტიკა, 2,5-ჯერ შევამცირეთ ციხეებში პატიმრების რაოდენობა და 10-ჯერ შევამცირეთ ციხეებში სიკვდილიანობა; გათავისუფლდა ბიზნესი და დამკვიდრდა მედიის თავისუფლება; ტარდება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, რის შედეგადაც ქვეყანას არა უცხოური აგენტურა, არამედ ქართველი ხალხის მიერ დემოკრატიული წესით არჩეული სუვერენული ხელისუფლება მართავს; საქართველოს ეკონომიკა 2012 წელს 28 მილიარდი ლარი იყო, ამ წლის ბოლოს კი 90 მილიარდ ლარს მიაღწევს; მხოლოდ ბოლო 4 წელიწადში საქართველოს ეკონომიკა – 40 მილიარდი ლარით, ხოლო ბიუჯეტი 10 მილიარდი ლარით გაიზარდა; ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, სამჯერ გაიზარდა პენსიები და რამდენჯერმე გაუმჯობესდა მოსახლეობის სოციალური დაცვის პაკეტი; რამდენჯერმე გაიზარდა ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობის ტემპი; ყოველწლიურად 300 მილიონ ლარზე მეტით ფინანსდება სოფლის მეურნეობის პროგრამები, რამაც კონკრეტულად შიდა ქართლში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება გააორმაგა და ამ პროდუქციის ექსპორტი გაასამმაგა;ქვეყნის მასშტაბით განახევრდა უმუშევრობა;680 ათასმა მოქალაქემ ქვეყნის მასშტაბით დააღწია თავი სიღარიბეს;„ქართული ოცნება" არის ერთადერთი ხელისუფლება დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, რომლის დროსაც ქვეყანას ომი არ ჰქონია;საქართველო გახდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა.

თუ საქართველო განვითარების დღევანდელ ტემპს შეინარჩუნებს, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კიდევ რამდენიმე ათეული მილიარდი ლარით გაიზრდება საქართველოს ეკონომიკა და 10 მილიარდ ლარზე მეტით გაიზრდება ქვეყნის ბიუჯეტი.

„მინიმუმამდე დავიყვანთ უმუშევრობასა და სიღარიბეს, რაც ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ეროვნული ამოცანაა.ამ ყველაფრისთვის კი, მთავარი მშვიდობის შენარჩუნებაა, რისთვისაც 26 ოქტომბერს ყველა ერთად უნდა დავდგეთ. 3 ათასი წლის განმავლობაში საქართველოს უამრავი ქარტეხილი აქვს გამოვლილი. სადაც ერთ მუშტად იყო შეკრული ერი და ბერი, სადაც ქართველი ხალხი ერთად იდგა საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობის – მამულის, ენისა და სარწმუნოების დასაცავად, საქართველოს დამარცხება ვერავინ შეძლო. საქართველოს ვერც 26 ოქტომბერს ვერავინ დაამარცხებს. 26 ჩვენი დღეა და 26 ოქტომბერს აუცილებლად გაიმარჯვებს „ქართული ოცნება"! 26 ოქტომბერს აუცილებლად გაიმარჯვებს საქართველო!

**ირაკლი კობახიძე,**
**საქართველოს პრემიერ-მინისტრი, „ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბის თავმჯდომარე.**

## ვიდრე ოპოზიცია დამნაშავეთა ერთიანობას ეწოდება, საქართველოში ჯანსაღი დემოკრატიული სისტემა ვერასოდეს ჩამოყალიბდება!

**დღეს** ჩვენ გორში ვიმყოფებით, ქალაქში, რომელიც 1000 წელია საქართველოს ძლიერების ერთ-ერთ უმთავრეს სიმბოლოდ მტკიცედ დგას! ქართველების ენით აღუწერელი გმირობის კიდევ ერთი, გასაოცარი ისტორია სწორედ აქ, სოფელ შინდისთან დაიწერა, ისტორია, რომელიც გვახსენებს, თუ როგორი თავდადებით შეუძლია ქართველს საკუთარი სამშობლოს დაცვა! ეს ქალაქი და მთლიანად შიდა ქართლი 2008 წლის ომის ქარტეხილის მომსწრეა. დღესაც, 12 წლის შემდეგ, კვლავ აქ ვდგავარ და სამწუხაროდ, ისევ იმ გამოუსწორებელ შედეგებზე მიწევს ლაპარაკი, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ" საკუთარ ქვეყანას დაატეხა თავს. იმ ავბედითი მოვლენებიდან უკვე 16 წელი გავიდა, თუმცა, მაშინ მოყენებული ჭრილობა ჩვენმა ქვეყანამ ჯერ კიდევ ვერ მოიშუშა. თქვენ საკუთარ თავზე ყველაზე მძაფრად გამოცადეთ, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ქვეყანა ხელისუფლების ღალატმა - ისტორიული რეგიონების ოკუპაცია, საკუთარ სამშობლოში დევნილად ქცეული ათობით ათასი ადამიანი და ასობით ქართველის შეწირული სიცოცხლე - ეს „ნაციონალური მოძრაობის" რეჟიმის მემკვიდრეობაა!!!



საკუთარი სამშობლოსა და ხალხის წინაშე ისეთი დანაშაულის ჩამდენ ძალას, რომელიც დღესაც ქვეყანას ომისკენ ექაჩება, ძალაუფლების დაბრუნების თეორიული შესაძლებლობაც კი არ უნდა ჰქონდეს. სწორედ ამიტომ, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემდეგ, ჩვენ დავიწყებთ სამართლებრივ პროცესს, რომლის შედეგადაც „ნაციონალური მოძრაობა" და მისი სატელიტი მემკვიდრე პარტიები არაკონსტიტუციურად გამოცხადდება. ეს ადამიანები უმკაცრესად უნდა გასამართლდნენ ყველა იმ უმძიმესი დანაშაულისთვის, რომელიც მათ ქვეყნისა და ხალხის წინაშე ჩაიდინეს, განსაკუთრებით კი 2008 წელს ჩადენილი უმძიმესი ღალატისთვის.

2012 წელს ჩვენ ვაცხადებდით, რომ ძლიერი სოფელი ძლიერი ქვეყნის საფუძველია და დაგპირდით, რომ ქართული სოფლის აღორძინებისთვის მილიარდიან ფონდს შევქმნიდით. ამ დაპირების შესაბამისად, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ქართული სოფლის გაძლიერებისთვის ყოველწლიურად ასობით მილიონი ლარი იხარჯება.

შედეგად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება გაორმაგდა; შეიქმნა 420 ახალი გადამმუშავებელი საწარმო და შემნახველი ობიექტი; 23 ათას ჰექტარზე გაშენდა მრავალწლოვანი კულტურები; 70 პროცენტით გაიზარდა ვენახების ფართობები და 5-ჯერ გაიზარდა ყურძნის გადამუშავება, 4-ჯერ გაიზარდა ქართული ღვინის ექსპორტი. წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, რომელმაც ტრადიციული ბაზრები გააქრო და ალტერნატიული ვერ მოიძია, ჩვენ მოვახერხეთ და ქართული პროდუქცია დავაბრუნეთ რუსეთის ბაზარზე, პარალელურად კი ახალი ბაზრებიც ავითვისეთ. დღეს ევროკავშირში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩინეთსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში წარმატებით იყიდება ქართული ღვინო, ხილი და მრავალი სხვა აგრარული პროდუქტი.

12 წლის წინ, თქვენ წინაშე გამოსვლისას ხაზგასმით ვთქვი, რომ ევროინტეგრაცია ჩვენი სტრატეგიული არჩევანი იყო, თუმცა, მეზობლებს ვერ ავარჩევდით და ამიტომ, ევროინტეგრაციის პარალელურად, რუსეთთან პრინციპული, მაგრამ კორექტული პოზიცია უნდა დაგვეჭირა!

მე დაგპირდით, რომ ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებდა მეზობლებთან ურთიერთობების ნორმალიზებისთვის და დღეს თქვენ ყველაზე უკეთ იცით, აღდგენილმა სავაჭრო ურთიერთობებმა რამდენად მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანა აქაურ მოსახლეობას. ეს კი იმის პარალელურად, რომ ქართველ ხალხთან ერთად, სწორედ ჩვენმა ხელისუფლებამ მოიპოვა ევროპასთან უვიზო მიმოსვლის უფლება, გააფორმა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება და მიიღო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი. დღეს ჩვენი ქვეყანა არა უსიტყვო მორჩილებით, არამედ ღირსებითა და საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვით აგრძელებს ევროინტეგრაციის პროცესს!

კარგად ვიცით, რომ ჩვენი მოსახლეობისთვის კიდევ ბევრი საკითხია მოსაგვარებელი და მიღწეულზე გაჩერებას არ ვაპირებთ. ჩვენი ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა მუდმივად გაგრძელდება.

თუმცა, დღეს ჩვენი ქვეყანა საგანგებო გამოწვევების წინაშე დგას. ყველაფერი უკან დაგვრჩება, თუ გარე დაკვეთით მოქმედ აგენტურას, რადიკალურ ოპოზიციას ქვეყნის არევის შესაძლებლობას მივცემთ და მშვიდობას ვერ შევინარჩუნებთ. დღეს ოპოზიცია ეწოდება ომის პარტიას, რომელიც ქვეყნის საზიანოდ ნებისმიერ დავალებაზეა ხელის მომწერი, ხოლო მეორე მხარეს არის „ქართული ოცნების" ხელისუფლება, რომელიც ეროვნული ინტერესების დაცვასა და ქვეყნის განვითარებაზეა ორიენტირებული. ასეთ პირობებში, ჩვენს გუნდს საზოგადოების მყარი მხარდაჭერა აქვს და ჩვენ გამარჯვებას წინ ვერაფერი დაუდგება. თუმცა, ჩვენი ამოცანა არა უბრალოდ გამარჯვება, არამედ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებაა. ეს არ არის ჩვენი ახირება. დარწმუნებული ვართ, რომ სწორედ საკონსტიტუციო უმრავლესობა შექმნის ყველაზე მყარ გრძელვადიან გარანტიას ჩვენი ქვეყნის შეუქცევადი განვითარებისათვის.

12 წლის წინ, თქვენ წინაშე გამოსვლისას, მე დაგპირდით, რომ სახელმწიფო ადამიანის მიმართ დამოკიდებულებას შეცვლიდა და ეს დაპირება შევასრულეთ. შემოვიღეთ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რამდენჯერმე გავზარდეთ პენსია და სოციალური დახმარებები, ასიათასობით ადამიანმა დაძლია სიღარიბე. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ გამყოფი ხაზის პირას მცხოვრებ მოსახლეობას, ხორციელდება სოციალური პროგრამები დევნილების ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად, მათთვის შემუშავებულია და მოქმედებს რამდენჯერმე გაზრდილი სოციალური დახმარებისა და შეღავათების პაკეტი.

ჩვენი ქვეყნის ისტორიის, მრავალფეროვნებისა და უნიკალური კულტურის დღევანდელ დღემდე მოტანაში თითოეულ კუთხეს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის. ქართლი კი ყოველთვის ყველა კუთხის, ამ მრავალფეროვნების შემკვრელი იყო და მუდამ მტკიცედ იდგა საქართველოს თვითმყოფადობის სადარაჯოზე. 3000-წლოვანი უფლისციხე, ყინწვისი, ატენის სიონი, წინაპრებისგან დატოვებული კიდევ უამრავი ხუროთმოძღვრების ძეგლი ყველაზე თვალსაჩინოდ შეგვახსენებს, თუ რამდენი რამ შესძინა ჩვენს ქვეყანას ამ ულამაზესმა კუთხემ. მრავალი საუკუნის მანძილზე, მუხლჩაუხრელი შრომა და ბრძოლა ქართლელი კაცის ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი იყო, რამაც მტკიცე ხასიათი ჩამოგიყალიბათ, ძნელბედობისადმი შეგუების უფლება არ მოგცათ და მომავალი თაობების წინაშე აღებული პასუხისმგებლობა ღირსეულად გატარებინათ.

**ბიძინა ივანიშვილი,**
**„ქართული ოცნების" საპატიო თავმჯდომარე**



# უშველე რამე ჭიჭე-ხაბე-გირჩ-ეკას ოპოზიციას, მიშა მასწ!

**...გასულ კვირას ამერიკის სენატმა ეკა გიგაურის მოხსენების საფუძველზე განიხილა საქართველოში შექმნილი ვითარება და კიდევ ერთხელ შეშფოთდა. ერთი შეხედვით, თითქოს უცნაურია, ამერიკის სენატი საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გასაანალიზებლად რატომ იწვევს მაინცდამაინც რადიკალური ოპოზიციის ინტერესების გამომხატველ არასამთავრობოს.**

ბოლო ოთხი წელიწადია, ჩვენი მეგობარი ამერიკელები (აი, სწორედ ისინი, როცა დაჭირდებათ, მეგობარი საქართველოსა და ქართველი ხალხის მისამართით ბილწ გინებას და ცილისწამებას რომ არ ერიდებიან!) ხშირად გვახსენებენ, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში აშშ-მა საქართველოს 6,2 მილიარდი დოლარი „უფეშქაშა“. ბევრი მცდელობის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებებმა მხოლოდ იმის დადგენა მოახერხეს, რომ ამ დახმარებიდან საქართველოს ბიუჯეტში დაახლოებით 2,7 მილიარდი დოლარი აღმოჩნდა. დანარჩენი უკვალოდ გაუჩინარდა.

ამერიკელი მეგობრების ნათქვამში ეჭვის შეტანას როგორ გავბედავ – 30 წლის განმავლობაში მათ საქართველოში ალბათ მართლაც გამოგზავნეს ის წყეული 6,2 მილიარდი, მაგრამ აქედან 3,5 მილიარდი არასამთავრობო ორგანიზაციებს გადაუნაწილეს (ღმერთმა დამიფაროს, ე. წ. „ატკატებზე“ სიტყვაც არ დამიძრავს!). 2020 წლის არჩევნებიდან მოყოლებული, ისინი მეგობარი ქართველი ენჯეოებიდან კატეგორიულად მოითხოვენ დანაპირების შესრულებას – საქართველოს პროამერიკული მარიონეტებით დაკომპლექტებულ ხელისუფლებას. დამეთანხმებით, ამაში ახალი და უცნაური არაფერია – ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს. ქალბატონი ეკა გიგაური ამერიკის კონგრესში თავისი შთამბეჭდავი ტან-ფეხისა და, ლაშა ბაქრაძეს რომ დავესესხო, უხმარი სახის სანახავად კი არა, აი, ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად დაიბარეს: სად წავიდა ჩვენი მილიარდები? რატომ ვერ მოახერხეთ ხელისუფლებაში სააკაშვილის დაბრუნება ან ვინმე ხაბე-ვაშაძე-ხაზარაძე-შალიკოსნაირი ფეხებზემკიდია ვიგინდარების აღზევება?

ქალბატონი ეკაც თავს იმართლებს, ყველაფერს „მოღალატე“ ივანიშვილს აბრალებს და „მეგობრებს“ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას ვერა, მაგრამ არჩევნების დამთავრებისთანავე სახელმწიფო გადატრიალებას ჰპირდება. უბირი ქართველი ახალგაზრდების სიცოცხლის ფასად, რასაკვირველია.

ამ არცთუ რთულ თამაშში ყველაზე საშიში ის გახლავთ, რომ ქალბატონ ეკას (მასთან ფინანსურად და იდეოლოგიურად დაკავშირებულ საზოგადოებასთან ერთად) უკან დასახევი გზა არა აქვს.

უკან დასახევი გზა არა აქვთ, გვარებს არ დავასახელებ და, ქართველი ხალხის მაგინებელ იმ კონგრესმენ-სენატორებსაც, ვისაც გიგაურსა და მის სხვა კოლეგებთან საქმეების მოკვარახჭინება ევალებოდათ. სწორედ აქედან მომდინარეობს მათი უაღრესი გაღიზიანება და ერთი შეხედვით აუხსნელი ქმედებები.

ამიტომ გული ნუ დაგწყდებათ, რომ ამერიკელი პოლიტიკოსები საუბრობენ გიგაურთან, შალიკოსთან, ალიკოსთან, მამუკასთან, გირჩებთან და თინიკოსთან და არ საუბრობენ, მაგალითად (ჯანდაბას, მე და ჩემისთანები!) საქართველოს ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესურასთან.

**ვენესუელის ამბავი ხომ გახსოვთ, ამერიკამ საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებული ოპოზიციონერი კანდიდატი გამარჯვებულად რომ გამოაცხადა. სულაც არ არის გამორიცხული, 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული „ოცნება“ 27 ოქტომბერს დამარცხებულად გამოაცხადოს და გიგაურს და მის „კამანდას“ ტრიუმფალური გამარჯვება მიულოცოს!**

გასული კვირის ბოლოს ყოვლად მოულოდნელად მეგობარ აშშ-ში გაემგზავრა დიდი პოლიტიკოსი კოდური სახელით „გირჩი ჯაფარიძე“. სავარაუდოდ, ამერიკელი მეგობრები მას გიგაურის დამხმარედ ან, სულაც შემცვლელად ამზადებენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბატონი ჯაფარიძე საქართველოში ნარკოტიკების მოყვანა-გავრცელების მთავარი ინიციატორი და თავისი შიშველი უკანალით რუსეთის არმიის დამაფრთხობელია, არ არის ურიგო არჩევანი.

12 სექტემბერს საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე დასაკვირვებლად მუშაობას ოფიციალურად შეუდგა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ოდირი) სადამკვირვებლო მისია. ოფიციალურად, მას კიდევ ერთი ჩვენი დიდი მეგობარი ოუენ მერფი უხელმძღვანელებს. თავიდან ამ მისიის რიგებში 12 საერთაშორისო ექსპერტი და 30 ე.წ. გრძელვადიანი დამკვირვებელი იქნება. არჩევნების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ამ ჯგუფს ეუთო ოდირის მიერ მიწვეული კიდევ 350 პერსონა დაემატება. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ევროკავშირი სერიოზულადაა დაინტერესებული საქართველოთი. მადლობის მეტი რა გვეთქმის.

* * *

**ალბათ ოდესმე დადგება დრო, როცა მედია საქართველოში მიმდინარე მშენებლობებზე, სოციალურ საკითხებზე, კულტურულ მოვლენებზე ილაპარაკებს და არა პოლიტიკაზე და პოლიტიკურ ინტრიგებზე. ჯერჯერობით კი რამაზ საყვარელიძე) და ამით დამემთავრებინა.**

**მაგრამ საქმე ასე უბრალოდ არ არის – ეკა ბესელია, როგორც ნაცმოძის ბევრი სხვა მიმდევარი, არის არა პოლიტიკური კარიერის უბრალო მაძიებელი, არამედ საკუთარი კეთილდღეობის მოსაპოვებლად ყოვლის მკადრებელი ავანტიურისტი. მეტიც – ამგვარი ავანტიურიზმის კლასიკური „სახე“.**

* * *

**მხარდამჭერების** მოსაღორებლად გამიზნული უნიჭო თამაშია ნაცების გაუთავებელი ლაილაი ევროპაში ჩვენს ასაყვავებლად შექუჩებული და ჭიჭე-სოფოს მომლოდინე 14 მილიარდ ევროზე. ეს არის ყოვლად ბრიყვული სპეკულაცია (მარტო ვაშაძის მაისურზე გამოტანილი რეკლამა რად ღირს!) ევროკავშირის ღარიბი კანდიდატი ქვეყნების (მათ შორის, თურქეთის) 7 წლის განმავლობაში დახმარებისთვის გამიზნული ფონდებით. ვიმეორებ, ჯერ კიდევ 2021 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, რომელიც დღემდე არ ამოქმედებულა, საუბარია ევროპის ათამდე ქვეყანასა და დაახლოებით შვიდწლიან ვადაზე. სხვა საქმეა, თუ ეს 14 მილიარდი ვაშაძეს შვეიცარიის ბანკში უდევს და არჩევნებში გამარჯვებისთანავე მის მშობლიური ციდან გადმოფრიალებას გვპირდება.



**...ეკა ბესელია, როგორც ნაცმოძის ბევრი სხვა მიმდევარი, არის არა პოლიტიკური კარიერის უბრალო მაძიებელი, არამედ საკუთარი კეთილდღეობის მოსაპოვებლად ყოვლის მკადრებელი ავანტურისტი. მეტიც — ამგვარი ავანტურიზმის კლასიკური „სახე“.**

**ყველაზე აქტუალური „ოცნების“ მიერ ბიძინა ივანიშვილის საარჩევნო სიის პირველ ნომრად დასახელება და, რა თქმა უნდა, პირველ ოცეულში ოლიმპიური ჩემპიონების, ლაშა ტალახაძისა და გენო პეტრიაშვილის გამოჩენაა.**

სამაგალითოდ, საპარლამენტო სავარძელზე უიმედოდ შეყვარებული ეკა ბესელიას „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუს შემოგთავაზებთ: „ძალიან ცხადად ჩანს, როგორ უჭირს დღეს მმართველ პარტიას. არავინ არ ჰყავს „ქართულ ოცნებას“ ლიდერი, ვერავის ვერ ჩაუყენებდა ამ სიას, იმიტომ, რომ მეორე ნომერი ამ სიის არის ადამიანი, რომელიც თავისუფლების მოედანზე ხალხმა სტვენით გააჩერა. ძალიან სევდიანად და საბრალოდ გამოიყურება 12 წლის შემდეგ ეს ყველაფერი, იმიტომ, რომ ივანიშვილის გვერდით როდესაც დგება კობახიძე, მდინარაძე და ოხანაშვილი, ის ხალხი, რომლებსაც არასდროს უბრძოლია არანაირი ღირებულებებისთვის, არასდროს არაფერი ამ ქვეყანაში არ გაუკეთებია ღირებული და ქვეყნის სასიკეთო, ამ ადამიანების გვერდით რომ დგება, რა თქმა უნდა, ძალიან ტრაგიკულია. საერთოდ, ვინ როგორ, რა ნიშნით ხვდება, ამას ერთი ახსნა აქვს: ვინ როგორი მორჩილია. ყველაზე მეტად მორჩილი და ყველაზე ცუდი საქმეების შემსრულებლად ვინც მიაჩნია მათ გუნდში, ისინი დარჩნენ და ამიტომაც შეიძლება არ იყო იქ თალაკვაძე.“

**გთხოვთ, თუ არ დაგეზარებათ, კიდევ ერთხელ გადახედოთ ქალბატონ ბესელიას მსჯელობას – აი, ამ ჭკუის ადამიანს აქვს პრეტენზია პოლიტიკოსობაზე. აი, ეს ადამიანი ბედავს ოპონენტების კრიტიკას.**

შეიძლებოდა მეთქვა, რომ ეს მიეთმოეთი არის, საერთოდ, რადიკალური ოპოზიციის „უხმარი სახე“; რომ მოგვწონს თუ არა, საპარლამენტო სიის პირველ ნომრად გამოჩენით, ივანიშვილი „აჩვენებს საზოგადოებას, რომ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე და მის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას იღებს, რადგან ის არის ქვეყანაში სიმშვიდისა და სტაბილურობის გარანტი“ (პოლიტოლოგი

თუმცა, ესეც ცოტა საეჭვოა – ამდენი ფული რომ ჰქონდეს, თვითონ, თუ აშშ-ის არა, საფრანგეთის პრეზიდენტობას ხომ დაითრევდა, მეგობარ შალიკოსაც ლატვიის პირველკაცობას მაინც გაუჩალიჩებდა.

აი, მაშინ კი ირაკლი კობახიძე მუსიე პღეზიდენტ ჟორჟ ვაშას დებატებზე უარს ნამდვილად ვერ ეტყოდა. დღეს კი ამის იურიდიული და დიპლომატიური საშუალება არ გააჩნია – თვითონ ქვეყნის პრემიერ-მინისტრია, ის პერსონა კი, უკვე ორი კვირაა ასე დაჟინებით რომ ექაჩება საჯარო დებატებისკენ – ერთი არარსებული პარტიის თვითმარქვია ლიდერი და პოლიტიკური არარაობა. თუმცა, გამოსავალი მაინც არსებობს – მიდი, ჭიჭე, ჯიგარო, შალიკოს ან რომელიმე გირჩს შეეხვეწე, იქნებ დებატებზე დაითანხმო. TV პირველიც არ დაგამადლის, თქვენს დებატებს ნაცისტორიას შეუნახავს.

* * *

**კვირას** ქართულ მედიაში გაპოპულარებული ინგლისურენოვანი აბრევიატურა BRIC (აგური) პირველად, თუ არ ვცდები, ამერიკელმა მეცნიერმა ჯიმ ო'ნილმა გამოიყენა ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე სწრაფად მზარდი ქვეყნების ჯგუფის (ბრაზილია, ინდოეთი, რუსეთი, ჩინეთი) აღსანიშნავად. მოგვიანებით, როცა ჯგუფს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაც შეუერთდა, ტერმინს S-იც დაემატა და დღევანდელი სახე მიიღო – ბრიქს. ჯიმ ო'ნილისა და ბევრი სხვა სპეციალისტის თვალსაზრისით, სწორედ ეს გაერთიანება უნდა გამხდარიყო მთავარი დასაყრდენი (აგური) მომავალი გლობალური ეკონომიკის ასაშენებლად.

ამ გაერთიანებასთან თანამშრომლობენ ან უახლოეს მომავალში თანამშრომლობას გეგმავენ არგენტინა, ბოლივია, ჩილე, კოლუმბია, ეკვადორი, პარაგვაი, პერუ, სურინამი, ურუგვაი, ვენესუელა, სომხეთი, ავღანეთი, ყაზახეთი, ირანი, ყირგიზეთი, პაკისტანი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ბელარუსი, აზერბაიჯანი, თურქეთი და სხვა ქვეყნები.

თუ მსოფლიოს პოლიტიკურ რუკას თუნდაც ზერელედ გადავხედავთ (მსოფლიოს მოსახლეობისა და ხმელეთის ორი მესამედი!), ამ გაერთიანების ეკონომიკური აღმავლობის ამბიციები უსაფუძვლოდ არ მოგვეჩვენება. არც ის გაგვაკვირვებს, თუ საქართველოს ხელისუფლება ამ გაერთიანებასთან თანამშრომლობაზე იფიქრებს.

**მანამდე კი კიდევ ერთხელ გამოვხატავ გაოცებას მეგობარი აშშ-ის საქციელის გამო – მის თვალწინ და მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ დედამიწის ორი მესამედი ერთიანდება და თვითონ ეკასთან და გირჩთან ფლირტაობისთვის იცლის!**

სპორტის და, საერთოდ, სამშობლოს მოყვარულებმა გასულ კვირას კიდევ ერთხელ გულწრფელად ვიზეიმეთ ქართველი პარასპორტსმენების მართლაც წარმოუდგენელი წარმატება პარიზის პარალიმპიადაზე – 8 მედალი 14 მონაწილისგან! დაჯილდოების ცერემონიალიც მათი წარმატების შესაფერისი იყო. პრიზიორებს, მათ მწვრთნელებს, გუნდის ყველა წევრს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ უმაღლესი ხარისხის სახელმწიფო ჯილდოები. ამის გარდა, პარალიმპიადის პრიზიორები ფულადი პრემიებითაც დაჯილდოვდნენ – ზუსტად იმ ოდენობის თანხებით, რამდენითაც პარიზის ოლიმპიადის გამარჯვებულები და პრიზიორები. ღმერთმა მშვიდობით მოახმაროთ!

ამასთან დაკავშირებით, გავბედავ და, ხელისუფლების გასაგონად დიდი მოკრძალებით ქართულ პოლიტიკურ, გნებავთ, ინტელექტუალურ წრეებში მოარულ ერთ მოსაზრებას გავიმეორებ.

საქართველოში შექმნილია უმძიმესი დემოგრაფიული ვითარება. შობადობა უკვე კარგა ხანია ჩამოცდა კრიტიკულ ზღვარს. გარდაცვალილთა რაოდენობამ თითქმის გადაამეტა დაბადებულთა რაოდენობას. მიზეზებზე და შექმნილი ვითარების მეცნიერულ ანალიზზე საუბარი მომავლის საქმეა.

იმის თქმა მინდა, რომ უშვილობის მკურნალობა, თუნდაც ხელოვნური განაყოფიერება და მერე მისი სამედიცინო კონტროლი, საქართველოში ფასიანია და ხშირად გრანდიოზულ თანხებს აღწევს – მინიმუმ 45-50 ათასი ლარი. საშუალო შემოსავლების მქონე ოჯახისთვის ეს თანხა ხშირად მიუწვდომელია. არცთუ იშვიათად, ეს გარემოება ოჯახების ნგრევის მიზეზიც ხდება.

**დიდი იმედი მაქვს, რომ ბევრი კეთილი საქმის მკეთებელი საქართველოს ხელისუფლება უახლოეს მომავალში უშვილობის მკურნალობის დაფინანსებაზე გადაწყვეტილებას მიიღებს.**

* * *

იმედია, ეს ამბავი უზომოდ გაგახარებთ – გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ მეორე ვადით პრეზიდენტობას დათანხმდა საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი. როგორც კულუარებიდან გამოჟონა, მის ამ გმირულ ინიციატივას თვით ხაბე, გირჩი და შალიკოც კი ეთანხმებიან. ახლა ერთი პატარა ნიუანსიღა რჩება – რას ფიქრობს მის კიდევ ერთხელ გაპრეზიდენტებაზე ქართველი ამომრჩეველი.

**ბოლოს, ოპოზიციის ბინძურ ინტრიგებს აყოლილი ქართველი ახალგაზრდებისა და ზრდასრული ინტრიგანების გასაგონად: შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დასამხობად (სახელმწიფო გადატრიალება ან გადატრიალების მცდელობა) ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე. (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 315).**



**თეიმურაზ ქორიძე**

15. 09. 2024

კვალი საუკუნეში

საქართველოს რესპუბლიკა

# დიდი აგრარიკოსი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე

## აკადემიკოსი მამია გოგოლიშვილი –110



**გამოჩენილ ქართველ აგრარიკოს-მეცნიერთა შორის საპატიო და გამორჩეული ადგილი უკავია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ქართველ აგრარიკოს მეცნიერთა სკოლის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს, პროფესორ მამია გოგოლიშვილს. პროფესორი მამია გოგოლიშვილი იმ მეცნიერთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა ნებისმიერი ერისათვის საამაყო და სამაგალითოა და რომლის სახელიც ფართოდ დამკვიდრდა საქართველოს აგრარული მეცნიერების ისტორიაში.**

მ. გოგოლიშვილი დაიბადა 1914 წლის 16 სექტემბერს ქობულეთის მაზრის სოფელ ბობოყვათში. 1924 წელს დაამთავრა ბობოყვათის დაწყებითი სკოლა და სწავლა განაგრძო ბათუმის ახლად გახსნილ პედაგოგიურ სასწავლებელში. 1929 წელს ყვარელში გაიხსნა ღარიბების, მოჯამაგირეებისა და ხელმოკლე ოჯახების ბავშვებისათვის სატყეო სასწავლებელი, სადაც მსურველებს უგამოცდოდ იღებდნენ. მამია გოგოლიშვილმა აქ მიიღო საშუალო ტექნიკური განათლება მეტყევის სპეციალობით, 1933 წელს კი სწავლა განაგრძო საქართველოს სატყეო ინსტიტუტში. ერთი წლის შემდეგ საკავშირო სუბტროპიკული ინსტიტუტი ოზურგეთიდან თბილისში გადავიდა და მამია გოგოლიშვილმა, როგორც სუბტროპიკული რაიონის წარმომადგენელმა, ამ ინსტიტუტში გააგრძელა სწავლა, რომელიც 1938 წელს წარმატებით დაამთავრა.

ინსტიტუტში სწავლის პირველივე წლებიდან მ. გოგოლიშვილი ინტერესით ჩაება ახალგაზრდულ საზოგადოებრივ საქმიანობაში. მეხუთე კურსის სტუდენტი აჭარის საბჭოთა მეურნეობის ტრესტის მმართველად დანიშნეს. ნახევარი წელიც არ იყო გასული და 23 წლის ჭაბუკი ავტონომიური რესპუბლიკის მიწათმოქმედების კომისრად (მინისტრად) იქნა არჩეული.

მამია გოგოლიშვილის მიღწევები შეუმჩნეველი არ დარჩენილა. 1947 წელს, უკვე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, სუბტროპიკოსი, იგი დაინიშნა აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

ახალ თანამდებობაზე თავისი ნაყოფიერი მუშაობა მ. გოგოლიშვილმა სოფლის მეურნეობის და ეკონომიკის აღორძინებით დაიწყო. ამასთან ერთად მან მიზნად დაისახა მხარის კულტურული დაწინაურება, ქართული ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების აღდგენა. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ აჭარაში ჯერ კიდევ აშკარად იგრძნობოდა თურქეთის სამასწლიანი ბატონობის კვალი. შესაცვლელი იყო ბევრი უცხო ტოპონიმი, აღსადგენი – ქართული გვარები, რაც მისი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში განხორციელდა.

იმ ბევრ სასიკეთო საქმიანობას შორის, რომელიც უშუალოდ მ. გოგოლიშვილის ხელმძღვანელობით განხორციელდა, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მისი შეუპოვარი ბრძოლა ბათუმის კათოლიკური ეკლესიისა და სხვა უნიკალური არქიტექტურული ძეგლების გადასარჩენად და ბათუმის ზღვისპირა პარკში საზაფხულო თეატრის უმშვენიერესი შენობის ასაგებად.

1953 წლიდან მამია გოგოლიშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბოტანიკურ ბაღს ჩაუდგა სათავეში, სადაც ორმოცი წლის განმავლობაში შეუცვლელად, მისთვის ჩვეული ენერგიით აგრძელებდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

აკადემიკოს მამია გოგოლიშვილის უშუალო ინიციატივითა და მუხლჩაუხრელი შრომით შეიქმნა ამიერკავკასიის ბოტანიკური ბაღების საბჭო, რომლის უცვლელი ხელმძღვანელიც წლების განმავლობაში თავად იყო.

მ. გოგოლიშვილმა 1961 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და 1963 წელს მიენიჭება პროფესორის წოდება.

1956 წლიდან 1986 წლამდე მამია გოგოლიშვილი კითხულობდა ლექციების კურსს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, ძირითადად სუბტროპიკულ კულტურებსა და მეხილეობა-მებოსტნეობაში.

მ. გოგოლიშვილი დიდ მზრუნველობას იჩენდა მეცნიერთა ახალგაზრდა კადრების აღზრდისადმი. წლების განმავლობაში იყო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და ხელმძღვანელობდა სადოქტორო დისერტაციების დაცვას. მისი ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია 20-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარებასა და ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდაში გაწეული თავდადებული მოღვაწეობისათვის 1979 წელს მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

მ. გოგოლიშვილი გახლავთ ორასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომელთაგან ცხრა მონოგრაფიაა. მის მიერ გამოკვლეული იქნა მულჩის გავლენა ციტრუსებისა და ყურძნის მოსავლიანობაზე.

მ. გოგოლიშვილის ნაშრომებს კითხულობდნენ და მოხსენებებს ისმენდნენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. იგი 34 წლის განმავლობაში იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ბოტანიკური ბაღების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო სამი ათეული წელი – ბოტანიკური ბაღების საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს წევრი.

1992 წელს იგი არჩეული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

მამია გოგოლიშვილი არაერთგზის გახლდათ საკავშირო უმაღლესი საბჭოს, აჭარის უმაღლესი საბჭოს, თუ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი. ის არჩეული იყო ბათუმის საპატიო მოქალაქედ და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის საკოორდინაციო ცენტრის თავმჯდომარედ.

1994 წელს გახსნილ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აკადემიკოსი მამია გოგოლიშვილი არჩეულ იქნა სუბტროპიკული კულტურების კათედრის გამგედ და ათი წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციების კურსს სუბტროპიკულ მემცენარეობაში.

**საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 25 ივნისის ბრძანებულებით მამია გოგოლიშვილი დაჯილდოვა ღირსების ორდენით, ამავე წელს შეყვანილი იქნა მე-20 საუკუნის გამოჩენილ პიროვნებათა სიაში.**

**მამია გოგოლიშვილი გარდაიცვალა 2006 წლის 6 აგვისტოს და დაკრძალულია ქალაქ თბილისში, საბურთალოს პანთეონში.**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**

# 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებულნი

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრში მასწავლებლის ეროვნული პრემიის დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.**

უწყების ცნობით, ღონისძიების ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ,** განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა **გიორგი ამილახვარმა** დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს, პრემიის ფინალისტ პედაგოგებს მიღწეული წარმატება მიულოცეს და მასწავლებლის პროფესიის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

საზოგადოებისა და განათლების სისტემის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემია და ფულადი პრიზი ათ ღვაწლმოსილ პედაგოგს გადაეცა.

აღსანიშნავია, რომ მასწავლებლის ეროვნული პრემიის ფარგლებში განაცხადების მიღება 2024 წლის აპრილში დაიწყო და ივლისში დასრულდა. კონკურსში მთელი საქართველოს მასშტაბით, ჯამში, 2000-ზე მეტი პედაგოგი იღებდა მონაწილეობას.



განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, შეირჩა მასწავლებლები, რომლებსაც სხვადასხვა მიმართულებით განსაკუთრებული წვლილი აქვთ შეტანილი მოსწავლეების, სასკოლო საზოგადოებისა თუ თემის განვითარებაში. ამის შემდგომ ათი გამარჯვებული გამოავლინა სპეციალურმა კომისიამ, რომელიც დაკომპლექტებული იყო სხვადასხვა პროფესიის მქონე ადამიანებით.

2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებულები არიან:

- **გორის მე-8 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვერა სომხიშვილი;**
- **თბილისის 28-ე საჯარო სკოლის ხელოვნების მასწავლებელი თამარ ადამია;**
- **ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი ივანე გოქაძე;**
- **დედოფლისწყაროს პირველი სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი ეკა სეფიაშვილი;**
- **ხელვაჩაურის სოფელ ახალსოფლის სკოლის სპორტის მასწავლებელი ნანი კირკიტაძე;**
- **გორის მე-5 საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი ნანა წიწუაშვილი;**
- **სენაკის პირველი სკოლის ხელოვნების მასწავლებელი მამუკა კუჭავა;**
- **თელავის მე-4 საჯარო სკოლის ბიოლოგიისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებელი ეკატერინე გურგენაშვილი;**
- **ბათუმის მეორე სკოლის დაწყებითი კლასების და გეოგრაფიის მასწავლებელი ანა ანუშიძე;**
- **ახალციხის მეორე საჯარო სკოლის ხელოვნების მასწავლებელი ზურაბ ინასარიძე.**

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2023 წელს მასწავლებლის ეროვნული პრემია დაწესდა. შესაბამისად, ყოველწლიურად საზოგადოებისა და განათლების სისტემის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ღვაწლმოსილ პედაგოგებს გადაეცემათ მასწავლებლის ეროვნული პრემია – სპეციალურად შექმნილი სამკერდე ნიშანი და ფულადი ჯილდო 10 000 ლარის ოდენობით.

# კიმა სვანაძე – ქართული ბანკის ბერმუხა

**დღეს, 16 სექტემბერს, დაბადებიდან 95 წელი შეუსრულდა საბანკო სისტემის ვეტერანს, რესპუბლიკის დამსახურებულ ბანკირს, მთავრობის უმაღლესი ჯილდოების მფლობელს, ათწლეულების განმავლობაში სახელმწიფო ბანკის – საქართველოს რესპუბლიკური ბანკის გამგეობის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს კიმა სვანაძეს.**

**ბატონი კიმა დაიბადა 1929 წელს ვანის რაიონის სოფელ სალხინოში. აქ მიიღო 8 კლასის განათლება, ხოლო საშუალო სკოლა მაღალი აკადემიური მოსწრებით დაასრულა ქ. თბილისში 1947 წელს.**

ამავე წელს გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი ფინანსებისა და კრედიტის განხრით, რომლის წარჩინებით დასრულების შემდეგ, 1952 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს რესპუბლიკურ ბანკში.

საბანკო სექტორში ბატონმა კიმამ უცვლელად იმოღვაწა ნახევარ საუკუნეზე მეტი.

გამართული და სამართლიანი საბანკო საქმიანობა დასაბამიდან წარმოადგენდა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგთა განვითარებისთვის ერთ-ერთ აუცილებელ და მნიშვნელოვან მამოძრავებელ მექანიზმს. საბანკო ოპერაციების განხორციელება დარგთაშორისი ურთიერთკავშირების განვითარების გარეშე წარმოუდგენელია. იგი ემყარება მკაცრ ნორმატიულ დოკუმენტებსა და შესაბამის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს. მისი ცალკეული ელემენტები დასაბამიდან მომდინარეობს და საზოგადოების განვითარებასთან ერთად იკიდებს ფეხს.

დღევანდელი საბანკო სისტემა ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა. იგი ყოფილი სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის საფუძველზე ჩამოყალიბდა და მის წიაღში აგრძელებდა საბანკო საქმიანობას, კომერციულ საწყისებზე. საკავშირო სახელმწიფო ბანკს საქართველოს რესპუბლიკის ამავე უწყების საბანკო სისტემიდან გასვლის შემდეგ უძრავ-მოძრავი ქონებისათვის ხელი არ უხლია. უფრო მეტიც, საწყის პერიოდში მიმოქცევისათვის საჭირო ნაღდი ფულის ნიშნების უკმარისობის, დანაკლისის შევსება გრძელდებოდა საკავშირო ბანკის სარეზერვო ფონდებიდან, რა თქმა უნდა, კუთვნილი საფასურის გადახდით. ამ დროისთვის რესპუბლიკის მასშტაბით, სახელმწიფო ბანკის – საქართველოს რესპუბლიკური ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა პირველი მოადგილე კიმა სვანაძე. (მანამდე ყოფილი თავმჯდომარე გათავისუფლდა თანამდებობიდან სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით).




ბატონმა კიმამ ბანკში მუშაობა განაწილების მიხედვით დაიწყო. საქართველოს რესპუბლიკური ბანკი მაშინ კიროვის (დღევანდელ ლეონიძის) ქუჩაზე მდებარეობდა. იმ დროს რესპუბლიკური ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ბატონი ბეჟან ჩხეიძე გახლდათ, რომელიც საქმის ცოდნისა და დიდი გამოცდილების გარდა, უაღრესად პატიოსან კაცად იყო ცნობილი. შემდგომშიც ბატონი კიმა ამბობდა, რომ თუკი საბანკო სისტემიდან ბევრი კარგი რამ შევიძინე, პირველ ყოვლისა, ბეჟან ჩხეიძის დიდი დამსახურებააო!

**საქართველოს რესპუბლიკური ბანკი სავსე იყო ცნობილი, ძველი, განათლებული და უაღრესად მაღალი რანგის სპეციალისტებით. პირველ რიგში გამოირჩეოდნენ 20-30 წლების მოღვაწენი: მ. ლაქტიონოვი, ვლ. გოლეთიანი და კ. ციმაკურიძე, რომლებიც საკავშირო მასშტაბით ცნობილი პიროვნებები იყვნენ. მათი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით გამოიცემოდა აუცილებელი საბანკო და, პირველ რიგში, საბუღალტრო დარგის ინსტრუქციები, რომელთა გარეშე ოპერაციები ვერ იწარმოებოდა.**

**მათ ჩანასახის სახით მიიღეს და საკუთარი მხრებით ატარეს თავიანთი დროის საბანკო სისტემა. შექმნეს და განავითარეს ფულად-საანგარიშსწორებო ოპერაციების წარმოების წესი და პრინციპები, გზა გაუხსნეს ნაციონალურ საკრედიტო საქმიანობას.**

ამ დროს საქართველოს რესპუბლიკურ ბანკს ხელმძღვანელობდა მ. ლაქტიონოვი. უაღრესად განათლებული სპეციალისტი, რომელიც კომპლექსურად ფლობდა ახლად ფეხადგმულ სახელმწიფო ბანკის ყველა უბანს. მ. ლაქტიონოვს მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის ახალგაზრდა კადრების აღზრდისა და მომზადების ფასდაუდებელ საქმეში. იგი კარგად დაეუფლა ქართულ ენას და საბანკო ტერმინოლოგიას, რის შემდეგაც თარგმნიდა და ავრცელებდა საბანკო ლიტერატურას.

მ. ლაქტიონოვის დამსახურებას და პროფესიონალიზმს დიდად აფასებდა ქართველი ხალხი და ყოველთვის სიყვარულით მოიხსენიებდნენ.

განსაკუთრებით გაითქვა სახელი საბანკო საქმიანობაში ვლ. გოლეთიანმა, რომელიც ლაქტიონოვის მოადგილედ მუშაობდა და მათ ერთობლივად მიაღწიეს თვალსაჩინო წარმატებას. გადაიყვანეს ცენტრალურ სახელმწიფო ბანკში, სადაც მიჰყავდა მთელი საანგარიშსწორებო და საკრედიტო დარგები. აღსანიშნავია, რომ ვლ. გოლეთიანს მოსკოვში მუშაობის დროსაც არ ავიწყდებოდა საქართველოს ინტერესები როგორც საბანკო, ასევე, სამეურნეო საქმიანობაში. სამწუხაროდ, ვლ. გოლეთიანი გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა, რამაც უზარმაზარი გლოვა და გულისტკივილი გამოიწვია. იგი ჩამოასვენეს საქართველოში და აქ მიაბარეს მშობლიურ მიწას.

მეორე მსოფლიო ომამდე საბანკო სისტემის სიამაყე იყო საქართველოს რესპუბლიკის თბილისის საქალაქო ბანკის სამმართველოს უფროსი კ. ციმაკურიძე, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქალაქის სამეურნეო და კულტურულ განვითარებაში საბანკო კრედიტების გამოყენებით. იგი დააწინაურეს ჯერ ფინანსთა მინისტრად, ხოლო შემდგომ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ. კ. ციმაკურიძეს ახლოს იცნობდა ბატონი კიმა სვანაძე და ისინი შემდგომში ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს მთავრობის დონეზე. ბატონი კიმა სისტემატურად აყენებდა კ. ციმაკურიძეს საქმის კურსში, რაც კ. ციმაკურიძეს მუდმივად აინტერესებდა.

ბატონმა კიმა სვანაძემ 23 წლისამ დაიწყო საბანკო სისტემაში საქმიანობა და ნახევარ საუკუნეზე მეტხანს იმოღვაწა. მან რთული და საინტერესო გზა განვლო სახელმწიფო ბანკის რიგითი ინსპექტორის თანამდებობიდან რესპუბლიკის ბანკის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობამდე. რესპუბლიკაში მას იცნობდნენ როგორც მაღალი რანგის პროფესიონალს, არა მარტო საბანკო სისტემაში, არამედ ეკონომიკის მონათესავე დარგებშიც და ჯეროვნად აფასებდნენ მის ღვაწლს.

ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ეკავა რა საბანკო საქმიანობის დარგში მაღალი თანამდებობები, მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში. ღრმა პროფესიონალური განათლების, დამსახურებული ავტორიტეტისა და პირადი პატრიოტული ვალდებულებების წყალობით, იგი კოლეგების მხარდამხარ წარმატებით ართმევდა თავს საკავშირო ბანკიდან სერიოზული მოცულობის გრძელვადიანი საკრედიტო რესურსების მიღებას და მათ ეფექტურად გამოყენებას რესპუბლიკის ეკონომიკის მთელი რიგი დარგების მაღალი ტემპებით განვითარების უზრუნველსაყოფად. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი როლი მევენახეობა-მეღვინეობის, ჩაის მრეწველობის, მებაღეობა-მეხილეობისა და სხვა დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გადაიარაღების საქმეში.

**მისი უშუალო მონაწილეობით რესპუბლიკის ეკონომიკას შეემატა ასეულობით ღვინის, ჩაის, აგრეთვე, ხილის გადასამუშავებელი მსხვილი ქარხნები, ფაბრიკები და კომბინატები, რომელთა მიერ გამოშვებული პროდუქციის დიდი ნაწილი იგზავნებოდა საექსპორტოდ.**

**სერიოზულია მისი წვლილი საბანკო სისტემის ახალგაზრდა კადრების სწავლებისა და მომზადების საქმეში. იგი მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა საბანკო სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებისა და სტაჟირების კურსებს.**

**აღსანიშნავია ბატონ კიმა სვანაძის სამეცნიერო კავშირები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონათესავე ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებლებთან და მისი როლი კონფერენციებისა და სხვადასხვა ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებაში. მის მიერ აღზრდილი სპეციალისტები დღესაც წარმატებით საქმიანობენ კომერციულ ბანკებსა და სხვა დაწესებულებებში.**

* * *

**თავისი** ცხოვრების მანძილზე, კიმა სვანაძე მრავალი საინტერესო მოვლენის მომსწრე გამხდარა. ამჟამად მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო ვანის რაიონის სოფელ სალხინოს ტერიტორიაზე, უშუალოდ მის ჭიშკართან გამავალ შარაგზასთან განვითარებულ ისტორიულ მოვლენაზე:

თანამედროვეობის გამოჩენილმა ინგლისელმა მეცნიერმა, მოგზაურმა და მწერალმა ტიმ სევერინმა, როგორც ცნობილია, 1984 წელს ააშენა გემი „არგოს" ორეული და გადაწყვიტა, გაევლო არგონავტების კოლხეთში მოგზაურობის მარშრუტი.

ტიმ სევერინი თავისი „არგოთი" მოადგა ქ. ფოთს. ექსპედიცია



საქართველოში შემოვიდა შავი ზღვიდან და აუყვა მდინარე რიონს საპირისპირო მიმართულებით. გემი, რომელსაც 18 ფიზიკურად ძლიერი ვაჟკაცი მართავდა, მდინარით შემოვიდა ვანის ტერიტორიაზე, კერძოდ სოფელ ჭყვიშში, გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლთან ახლოს. სწორედ აქ შეჩერდა გემი „არგო", ვინაიდან რიონის სიღრმის ნაკლებობის გამო, აღმართში მდინარის საპირისპიროდ ცურვა ძალზედ ჭირდა, სოფელ ჭყვიშში გალაკტიონის სახლთან ახლოს, მდინარე რიონის ნაპირთან, მათ შეარჩიეს დაბალი დინების ადგილი, სადაც დააყენეს გემი. ხოლო გემის ეკიპაჟი, სტუმართმოყვარე ვანელებმა რაიონში მიიპატიჟეს და სამახსოვრო შეხვედრა მოუწყვეს. მეორე დღეს გემი „არგო" გადაიყვანეს სპეციალურ გადამზიდზე და ხმელეთით სოფელ სალხინოშიც ჩამოატარეს, ბატონი კიმას სახლის ჭიშკართან გამავალ შარაგზაზე.

ფოთიდან გემი „არგო" გავიდა შავ ზღვაში და მეორე დღეს ექსპედიციამ კურსი ლონდონისკენ აიღო. ექსპედიციის უფროსი, გემის კაპიტანი და მეზღვაურები უსაზღვრო მადლიერებას გამოხატავდნენ ქართული სტუმართმოყვარეობისთვის. ამ გასაოცარ მოვლენას მთელი მსოფლიოს პრესა გამოეხმაურა და ერთხმად აღიარებდნენ ჭეშმარიტებას, რომ ძველი დროის არგონავტების ექსპედიცია იყო სინამდვილე და არა ლეგენდა ან მითი.

განსაკუთრებით გვინდა, აღვნიშნოთ ბატონი კიმას ჭიშკართან ძვირფასი სტუმრების მიღების ფაქტი, რომელსაც ქართული პურმარილის გარეშე არ ჩაუვლია. ბატონი კიმა ამ დროს შვებულებას ატარებდა მშობლიურ სოფელში და ძალიან უხაროდა, რომ გაუმართლა, საკუთარი თვალით დაენახა და მოესმინა მსოფლიო მნიშვნელობის მოგზაურობის საინტერესო პერიპეტიები და პირადად გაეცნო ისეთი გაბედული ადამიანი, როგორიც ტიმ სევერინი იყო.

* * *

**ბატონ** კიმასთან საუბარი ხანგრძლივი, თუმცა, საინტერესო გამოდგა. საუბრის შეფასებისას, მან თქვა, რომ პროფესიული საქმიანობისადმი თავდადებამ და პატრიოტულმა დამოკიდებულებამ, მას მოუტანა მრავალრიცხოვანი თანამშრომლების, კოლეგებისა და მეგობრების, ამასთანავე, მომსახურე სამინისტროებისა და უწყებების მხრიდან დაფასება და სიყვარული, აქტიური მხარდაჭერა, მისი წახალისება მაღალი სამთავრობო ჯილდოებით.

სხვადასხვა პერიოდში მას მიღებული აქვს შრომის წითელი დროშის და საპატიო ნიშნის ორდენები, აგრეთვე, სამი მედალი. მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდება და დაჯილდოებულია საქართველოს უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით საბანკო სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის. დაბადების 80 წლის აღსანიშნავად და საბანკო საქმიანობაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისთვის საქართველოს ბანკების ასოციაციამ დააჯილდოვა საქართველოს „დამსახურებული ბანკირის" საპატიო სიგელით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეს წოდება ასოციაციის დაარსებიდან პირველს სწორედ მას ერგო.

2010 წელს ვანის მუნიციპალიტეტის ინიციატივით გამოვიდა სამტომეული, რომელიც ვანის თვალსაჩინო შვილებს ეძღვნებათ. სასიხარულოა, რომ კიმა სვანაძემ ამ ფუნდამენტურ გამოცემაში მოყვანილ წარჩინებულ მოღვაწეთა შორის საპატიო ადგილი დაიკავა.

ბატონი კიმა სვანაძე ტრადიციული ქართული ოჯახის მამაა, ჰყავს მეუღლე, 2 შვილი, 5 შვილიშვილი და შვილთაშვილი.

**გამოვხატავთ რა განსაკუთრებულ სიყვარულსა და უდიდეს პატივისცემას, გულითადად ვულოცავთ ბატონ კიმას, როგორც ღირსეულ მოქალაქეს და დამსახურებულ ბანკირს, დაბადების დღეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ნაყოფიერ მოღვაწეობას ჩვენი ლამაზი სამშობლოს საკეთილდღეოდ.**

პროფესორი
**ნოდარ ბაგრატიონი**

# ერი არასოდეს ივიწყებს თავის ღირსეულ შვილებს

## ქართველ მიქელანჯელოდ წოდებული დიდი მერაბ ბერძენიშვილის უკვდავება






**რვა წელი გავიდა დიდი მერაბ ბერძენიშვილის გარდაცვალებიდან, ჩვენგან წავიდა თანამედროვეობის უდიდესი ხელოვანი, დიდი მამულიშვილი, ბრწყინვალე პიროვნება,მსოფლიოში ფართოდ აღიარებული მოქანდაკე.**

დიდი მოქანდაკის სკულპტურები, ქვაში გაცოცხლებული ისტორია – ჩვენი ქვეყნის წარსულს აწყმოსა და მომავალთან აკავშირებს. საქართველოში თითქმის ვერ ნახავთ ქალაქს, მერაბ ბერძენიშვილის შექმნილი დიდი წინაპრის ძეგლი რომ არ ამშვენებდეს.

მისი ნაქანდაკარი ძეგლები, ბიუსტები, სკულპტურული კომპოზიციები, მონუმენტური შედევრები დადგმულია როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

ბატონი მერაბი იყო მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი მოქანდაკე, ფერმწერი და გრაფიკოსი,საქართველოს დამსახურებული მხატვარი, საქართველოს სახალხო მხატვარი,საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, რუსეთის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი.


დავით აღმაშენებელი

მერაბ ბერძენიშვილმა ხელოვნების ისტორიაში შექმნა საკუთარი ხელწერა თავისი მონუმენტური, გრაფიკული თუ ფერწერული ნამუშევრებით. მისი შექმნილია დავით აღმაშენებლის და დავით გურამიშვილის ქანდაკებები, ზაქარია ფალიაშვილის, დოდო აბაშიძის, სანდრო ახმეტელის, ტიციან ტაბიძის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟაფშაველას და ქეთევან წამებულის ძეგლები. მერაბ ბერძენიშვილს ეკუთვნის „მუზა“ ფილარმონიის წინ. ბავშვთა პარკში შექმნა ნოდარ დუმბაძის მემორიალი, მწერლის პორტრეტი და პერსონაჟები რომანიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

დიდგორის ბრძოლის ადგილას განხორციელდა სკულპტურულ-არქიტექტურული კომპლექსი, მოსკოვში აღიმართა მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი შოთა რუსთაველის ძეგლი. კასპში – გიორგი სააკაძის ცხენოსანი ფიგურა, ასლი კი დაიდგა თბილისში, ბიჭვინთაში დაიდგა ქანდაკება „მედეა“, სოჭში „ადამი და ევა“, მარნეულში აღიმართა კომპოზიცია „კიდევაც დაიზრდებიან“, გურჯაანში დაიდგა მემორიალური კომპლექსი „ჯარისკაცის მამა“, ქუთაისში – ომში გამარჯვების „დიდების მემორიალი“. მიჩიგანის ქალაქ ტრავერსიტიში დაიდგა კომპოზიცია „საქართველო“, ავსტრიაში – ჰერმან კმაინერის ქანდაკება, ლაოსის მეფის სისავან ვონგის ძეგლი აღიმართა ვენტიანში, ხოლო ძეგლის ასლი ქალაქ პრაბანგში.

მერაბ ბერძენიშვილის გამოფენები მოწყობილია საქართველოსა და საფრანგეთში, რუსეთსა და ჩეხეთში, გერმანიასა და პოლონეთში, ბულგარეთში, ამერიკაში. ბატონი მერაბი სამი უმაღლესი სახელმწიფო პრემიის ლაურეატია, დაჯილდოებულია რუსეთის სამხატვრო აკადემიის მედლით „ღირსეულს“,ღირსების დიპლომით და ვერცხლის მედლით ოცდამეერთე საუკუნის ჯილდო განსაკუთრებული მიღწევებისთვის ქანდაკების სფეროში, გადაეცა საქართველოს მხატვართა კავშირის პრიზი „ოქროს ლომი“. იგი ასევე საქართველოს ეკლესიის წმინდა გიორგის ოქროს ორდენის მფლობელია. მერაბ ბერძენიშვილი თბილისის საპატიო მოქალაქეა.

მერაბ ბერძენიშვილის სახით საქართველომ დაკარგა არა მარტო უდიდესი ხელოვანი, არამედ როგორც უაღრესად კეთილშობილი, სამშობლოსა და ზოგადად ადამიანის სიყვარულით შთაგონებული დიდი შემოქმედი.

ბატონი მერაბი ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან, მისი სახელი სამარადისოდ შევა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და ერთ-ერთ გამორჩეულ ადგილს დაიმკვიდრებს ჩვენს ღირსეულ მამულიშვილთა გვერდით.

ქართველი ერი არასოდეს დაივიწყებს თავის გენიოს შვილს – მერაბ ბერძენიშვილს. მისი ნათელი ხსოვნა ყველა პატრიოტი ქართველის წმიდათაწმიდა მოვალეობაა.

**საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე, აკადემიკოსი**
**თამაზ შილაკაძე**


გიორგი სააკაძე


შოთა რუსთაველი


მედეა


ზაქარია ფალიაშვილი


ჯარისკაცის მამა

# „მადლიერება ხსოვნაა მიღებული სიკეთისა, რომელიც ქვაზე დაწერილივით ინახება გულში“



**2022 წლის 16 სექტემბერი კარს იყო მომდგარი. მანანა გურგენაშვილმა მორიგი მძიმე სამუშაო დღე ჩაამთავრა და შინისკენ მიმავალ გზას გაუყვა. ვამბობ, „შინისკენ“, თუმცა ეს სულაც არ იყო გზა შინისკენ, რადგან ქალბატონი მანანა, თავისი განვლილი ცხოვრებიდან გამომდინარე, უაღრესად დაფასებული და პატივსაცემი, სოლოლაკელებმა უბნის კოლორიტი რომ უწოდეს, შინისკენ არ მიდიოდა, ის ახლობლის ბინაში ათენებდა ღამეს და უკვე მერამდენე წელი იყო, ამ ახლობლის ბინა იყო მისთვის შინაც და გარეთაც. თავისი კეთილშობილებით და სხვათა ცბიერებით, ბინაც დაკარგა, ვალებიც დაიდო და ერთ დროს თბილისის დიდ სავაჭრო ცენტრებში პასუხსაგებ თანამდებობებზე ნამოღვაწარი ადამიანი ქუჩაში დარჩა.**

ამჯერად თავს აღარ შევაწყენთ ამ ამბის დეტალებით, ეს დიდი და ძველი ისტორიაა. იმ ადამიანების შესახებ, ვინც ასეთ უმძიმეს დღეში ჩააყენა მანანა გურგენაშვილი თავის ერთადერთ საამაყო შვილთან მაკა სევდიანიშვილთან ერთად, სხვა დროს გიამბობთ. იქნებ მანამდე იმ ადამიანებმა წაიკითხონ ეს წერილი, დაფიქრდნენ თავიანთ საქციელზე, თუ რა დღეში ჩააგდეს ადამიანი, რომელსაც სიკეთის გარდა სხვა არაფერი უკეთებია, დაფიქრდნენ და მიმალვის ნაცვლად, ბოდიში მაინც მოუხადონ.

სახლში შესვლისას მობილურზე შეტყობინება მიიღო. შვილი დაბადების დღეს ულოცავდა, დაღლილს და ფიქრებისგან დაქანცულს, აღარც კი ახსოვდა დაბადების დღე – 16 სექტემბერი. მაკა სევდიანიშვილი წერდა: „დე, ჩემო ერთადერთო და ტკბილო, გილოცავ დაბადების დღეს. ჯერ ისევ 15 სექტემბერია, მაგრამ მინდა ყველას დავასწრო. ღვთის შეწევნით იქნებ ბედნიერი და საოცარი დღე გათენდეს, იქნებ ყველაფერი დალაგდეს, იქნებ შენს სახეზე ისევ ღიმილი დავინახო. დე, დიდხანს უნდა მყავდე, გულთან ნუ მიგაქვს არამზადების ქმედება, უფალი ყველას თავისას მიაგებს. მთავარია, ცოცხლები ვართ, ერთად ვართ, დედაშვილის ერთად ყოფნა და სიყვარული ხომ დაუმარცხებელია, ჩვენ ყველაფერს შევძლებთ, ბინაც გვექნება და ბედნიერებიც ვიქნებით. გილოცავ, თვალზე ცრემლი შეიმშრალე, უფალი დიდია, ყველაფერი კარგად იქნება. შენი მაკა.“

ახლაღა მოვიდა გონს მანანა, თვალები მართლაც ცრემლით ჰქონდა სავსე.

– „ეჰ, ჩემო სიცოცხლევ და ერთადერთო, იქნება კი ყველაფერი კარგად? რა ქნას უფალმა, თუკი ადამიანები გადაგვარდნენ, საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტნენ, მხოლოდ საკუთარ თავზე დაიწყეს ზრუნვა და მზად არიან, ამ „ზრუნვას“ სხვათა ბედ-იღბალი ანაცვალონ, სხვათა ცხოვრების დანგრევით საკუთარი აიშენონ“, – გულში გაიფიქრა მანანამ.

ეს შეტყობინება, სამწუხაროდ, უკანასკნელი და აღუსრულებელი აღმოჩნდა – სამი კვირის შემდეგ, 7 ოქტომბერს, სამსახურიდან შინ მიმავალი მაკა სევდიანიშვილი უცხოელმა მანიაკმა სიცოცხლეს გამოასალმა. რამდენიმე უმძიმესი ჭრილობა მიაყენა. სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ვეღარაფერი გააწყო. მანანა გურგენაშვილი კიდევ ერთხელ განადგურდა. ყველაფერთან ერთად შვილიც დაკარგა. ძაძებით შეიმოსა, რამდენიმე დღეში დაბერდა, თმები მთლად გაუთეთრდა, მისი სახიდან საბოლოოდ გაქრა ღიმილი, თვალები ჩაუშავდა, უსასოო სევდით აევსო. კუკიის სასაფლაოზე, მშობლების გვერდით მიაბარა მიწას შვილის უმოწყალოდ ნაწამები ცხედარი. მას მერე, მაკას საფლავს არ მოსცილებია, მიაქვს შვილის საყვარელი ყვავილები და, როგორც ცოცხალს, ისე ესაუბრება, უამბობს ყველაფერს, რაც მისი ამ წუთისოფლიდან წასვლის შემდეგ ხდება. ნატრობს, რომ დაესიზმროს...

სოლოლაკელებმა გულთან ახლოს მიიტანეს მანანას გაუსაძლისი მდგომარეობა, ის ხომ მთელი დღე ქუჩაში დგას და ქართული ჟურნალ-გაზეთებით ამარაგებს მკითხველს. ფეისბუქში მოუთხრეს მეგობრებს მათი კოლორიტი ქალბატონის შესახებ, მერე მერიასაც მიმართეს მისთვის დახმარების თხოვნით. არაფერი გამოვიდა, ვიდრე...

ერთ დღეს ძაძებით მოსილ მანანა გურგენაშვილს გამოეცხადა სრულიად უცნობი ახალგაზრდა მამაკაცი, საახალწლო ნუგბარი მიართვა, როგორც დედას ისე მოეფერა. ვიცი შენი ამბავი და რითაც და როგორც შემეძლება, ყველაფრით გვერდში მიგულეო – უთხრა. აი, ამ უცნობმა ადამიანმა შვილის მაგივრობა გაუწია და დღესაც გვერდში უდგას, ხელს უმართავს და ეხმარება. ეს მამაკაცი გახლავთ საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, სამინისტროს საპარლამენტო მდივანი გრიგოლ გიორგაძე. 24 მარტს ბატონი გრიგოლი 45 წლის გახდა. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. რომ არა მისი გულისხმიერება, ადამიანობა, მანანა გურგენაშვილი დღევანდელ დაბადების დღესაც სხვის ბინაში შეხვდებოდა. არა, ბინა დღესაც სხვისია, მაგრამ ბატონი გიორგის მოწადინებით, თბილისის მერიისა და გლდანის გამგეობის თანადგომით, მანანას სრულიად უსასყიდლოდ, ხანგრძლივი დროით უქირავეს სახლი, სადაც ის პირველად შეხვდება 16 სექტემბერს, დაბადების დღეს. მაკა ზეციური საქართველოდან დალოცავს დედას და სიზმრად გამოცხადებული ეტყვის: დე, ხომ გითხარი, უფალი დიდია, ყველაფერი იქნება კარგად...

მადლობა გვინდა ვუთხრათ ყველას, ვინც გვერდში დაუდგა შვილმკვდარ დედას და, ასე თუ ისე, სიხარულის, სითბოს, იმედის ნაპერწკალი აანთეს მის ნაიარევ გულში, გულში, რომელიც არც შვილის დაღუპვის შემდეგ გაბოროტებია და კვლავაც სხვათა მომფერებელი და სხვებზე მზრუნველია. ვინ არიან ეს ადამიანები, ვინც მანანა გურგენაშვილს დაბადების დღე ასე თავისებურად, ასე ლამაზად მიულოცეს? ესენი არიან: გრიგოლ გიორგაძე, თბილისის მერი კახა კალაძე, მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გელა ჩივიაშვილი, თბილისის გლდანის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ბესიკ კალაძე, გამგეობის თითქმის ყველა თანამშრომელი.

მადლობა ყველა სოლოლაკელს, რომლებიც გვერდში უდგანან მანანა გურგენაშვილს და, შეძლებისდაგვარად, უმსუბუქებენ გაუსაძლის ცხოვრებას, მადლობა ცნობილი ბიზნესმენისა და პოლიტიკოსის გია ჭანტურიას მეუღლეს, პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, ქალბატონ მანანა დუნდუას. მადლობა სოლოლაკელ ბიზნესმენს, ქველმოქმედსა და სიკეთით, ღირსებით სავსე ადამიანს, ბატონ შმაგი ქემერტელიძეს. ყველას ჩამოთვლა ძნელია. მადლობა ყველას, ვინც მანანას აგრძნობინა, რომ ის არ არის მარტო.

დაბოლოს, დაბადების დღეს ვულოცავთ მანანა გურგენაშვილს. ის ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველიცაა და გამავრცელებელიც. არის უაღესად ერთგული, უღალატო და კეთილმოსურნე. განა ბევრიღა შემოგვრჩა ასეთი ადამიანი?

**ერთ ლექსში მუხრან მაჭავარიანი წერს:**

**„ღმერთმა მოგვიწყო გამოცდა!**
**მრავალს უწია ცოდვამ:**
**ვინ რა ყოფილა – გამოჩნდა!**
**კაცი აღმოჩნდა ცოტა!“**

მანანა გურგენაშვილი სწორედ რომ ამ ცოტათა შორისაა და აქვე არიან ის ადამიანები, რომელთაც სამადლობელი ვუთხარით ამ მცირე წერილით. მადლიერება ხომ ღვთიური ნიჭია და არ შეიძლება, ადამიანმა არ გამოხატოს ეს გრძნობა იმათ მიმართ, ვინც თუნდაც მცირედი გაიღო და ხელი გაგიმართა. არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი) ამბობდა: „მადლიერების გრძნობა – ეს ადამიანისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ბუნებრივი და იმავდროულად კეთილშობილური გრძნობაა. მადლიერება ხსოვნაა მიღებული სიკეთისა, რომელიც ქვაზე დაწერილივით ინახება გულში და სიკეთის წილ სიკეთის მიგების სურვილში გამოიხატება“.

**ამირან ბუთურიშვილი,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი**
**(ტ. 597960790)**

# სრულიად გამორჩეული უცნობი ქართველი მხატვარი ირაკლი მდივანი

**ირაკლი მდივანი – სრულიად გამორჩეული ქართველი მხატვარი, რომლის არსებობა ფართო საზოგადოებამ ძალიან დიდხანს არ იცოდა. ეს „უჩინარობა“ თუ „უძრაობა“ ვინ იცის, რამდენი წელი გაგრძელდებოდა, რომ არა თეა წულუკიანი. მისი თანადგომით 2023 წელს ხელოვნების სასახლემ შეიძინა ირაკლი მდივნის 23 მანამდე უცნობი ნამუშევარი.**











ფართო საზოგადოებამ კი პირველად იხილა მდივნის მოდერნისტული ნამუშევრები, ნახატები, რომლებსაც საბჭოთა რეჟიმმა მივიწყების სუდარა გადააფარა... თუმცა წლების შემდეგ ჩრდილის ამ საფარველიდან გამოსულმა ესკიზებმა ნამდვილი მარგალიტებივით გამოანათა. ამ ნამუშევრებში პეტრე ოცხელის ხელწერასთან მსგავსება იმდენად დიდია, რომ ამ ორი ავტორის გაიგივების ცდუნება ჩნდება, თუმცა ეს არ არის პლაგიატი, მიბაძვა, ეს უფრო სულიერ ძმობას, შემოქმედებაში ახალი სიმაღლეების, ახალი მიგნებების მოპოვების სურვილს ჰგავს. ირაკლი მდივნის შთამომავალთა თქმით, მათი წინაპარი და პეტრე ოცხელი ერთად სწავლობდნენ, ნათქვამის დამადასტურებელ საარქივო დოკუმენტებს ჩვენ ვერ მივაკვლიეთ, თუმცა ფიგურათა გამოსახვის ერთიანობა, პლასტიკა, ფანტასტიკური არსებები და სასცენო დეკორაციების აწყობის პრინციპი ბევრ საერთოზე მიუთითებს.

სულ მალე კულტურის სამინისტროს თანადგომით გამოვა კატალოგი, რომელიც ირაკლი მდივნის შემოქმედებას სრულად ასახავს. დარწმუნებული ვარ, ქართველ მკითხველს ბევრი საინტერესო და მოულოდნელი აღმოჩენების საშუალება ექნება !

**გიორგი კალანდია**

◉ ტრიუმფი

# მეორე ქამარი!

**საქართველომ გუშინ დილით ზღაპარში გაიღვიძა. ჩვენს ქვეყანას UFC-ში მეორე ჩემპიონი ჰყავს. მერაბ დვალიშვილმა სუპერმსუბუქ წონაში შონ ო'მალი დაამარცხა და საჩემპიონო ქამარი დაიმსახურა.**




33 წლის „მანქანამ" ყველა რაუნდი უპირატესობით წაიყვანა. მერაბი მეტოქეს თავიდან ბოლომდე აკონტროლებდა და ზუსტად ურტყამდა. მან მოწინააღმდეგეს პარტერშიც აჯობა და დგომშიც. საბოლოოდ, მსაჯებმა გამარჯვება ერთსულოვნად ქართველს მიანიჭეს.

მერაბ დვალიშვილისთვის ეს UFC-ში ზედიზედ მე-11 მოგებაა. უკვე ჩემპიონი ბოლოს 2018 წელს დამარცხდა. ქამრისკენ მიმავალ გზაზე მან სამ ყოფილ ჩემპიონს – ჟოზე ალდოს, პიტერ იანს და ჰენრი სეხუდოს აჯობა, ტიტულისკენ კი 6 წელი მიდიოდა.

აღსანიშნავია, რომ ღღგ-ში ჩატარებული 22 ბრძოლიდან დვალიშვილმა 18-ჯერ მოიგო. ასე რომ, გილოცავ საქართველო! ილია თოფურიას შემდეგ, ახლა უკვე ჩემპიონი მერაბ დვალიშვილი გვყავს!

**მას ერთ-ერთმა პირველმა ტრიუმფი ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა მიულოცა.**

◉ ოვალური ბურთი

# კოკერილმა დაიწყო

რაგბი ევროპის სუპერთასის უცვლელი მფლობელი შავი ლომი ტიტულის დაცვას გუშინ ბურგოსში ესპანურ იბერიანსთან შეხვედრით შეუდგა.

პირველი ქართული ფრანჩაიზის ინგლისელმა თავკაცმა **რიჩარდ კოკერილმა** ახალ ამპლუაში სადებიუტო ოფიციალური მატჩის წინ განაცხადა:

**„კარგი მოსამზადებელი პერიოდი გვქონდა, ბიჭებმა ბევრი შრომეს, ოპტიმალური ფიზიკური კონდიციები აკრიფეს და მოუთმენლად ველით ჩვენს პირველ თამაშს.**




**როგორც მოგეხსენებათ, გუნდის გაფართოებულ შემადგენლობაში 11 დებიუტანტი გვყავს და ისინი ახალ „ოჯახთან" საკმაოდ ნორმალურად ადაპტირდნენ. ახალმა სისხლმა წარმატებით გაიარა ძველ გვარდიასთან შეგუება-შეთამაშების პროცესი – ეს თანაბრად ეხება როგორც დიდი – 10-დან, ისე ფრანგული კლუბებიდან მოწვეულ მოთამაშეებს. მოკლედ, კვირას შავი ლომის კვართს ბევრი ახალი სახე მოირგებს.**

**გუშინ:** იბერიანსი – შავი ლომი 3:54 (8 ლელო).

◉ მეტი რა გზა აქვს?!




**მაშინ, როცა პრემიერი მასწავლებელთა ტრადიციულ დაჯილდოებაზე ბრძანდებოდა, ქალბატონმა რეზიდენტთუხუცესმა დრო იხელთა და სპორტსმენთა გულის მოსაგებად ორბელიანების სასახლეში პარიზის ოლიმპიური თამაშებისა და პარალიმპიადის გმირები შეკრიბა, რათა მათთვის მთავრობის მეთაურისა და პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით გამეტებული ჯილდოები გადაეცა.**

მართალია, ზემოთ უკვე ავხსენით ბატონ ირაკლი კობახიძის არყოფნის ერთ-ერთი მიზეზი, მაგრამ ესეც რომ არა, ვფიქრობ, თავმოყვარე პიროვნება, ამ შემთხვევაში – პოლიტიკოსი, ისედაც არ უნდა დასწრებოდა მოკეთეთათვის მტრად ქცეული, ერთ დროს მათ მიერვე „გაქაჩული" თავკერძა, ოდიოზური ფიგურის მიერ ნაძალადევი პომპეზურობით ორგანიზებულ წინასაარჩევნო მასკარადს, რის შესახებაც მეორე მხარემ პირუთვნელად განაცხადა კიდევაც.

დიახ, ჯერ თვითონ ქვეყნის მეთაურმა შეახსენა ოპონენტს მისგან მსგავსი ღონისძიების ბოიკოტირების შესახებ, ხოლო შოუს დასრულებისთანავე უკვე **ლაშა ბექაურმა** დააიპონა აშკარად უფრო დაბალი დონის მეტოქე, როცა მედიასთან პოზიცია ალალად გამოხატა: „ვისურვებდი, გაცილებით ღირსეული და ქრისტიანობის ერთგული პრეზიდენტი გვყავდეს".

ადვილი მისახვედრია, იმავე ნავსიანი 13 სექტემბრის საღამოს როგორ კონვულსიებში ჩააგდო ასეთმა გაბედულმა კომენტარმა სატანისტთა „ფორმულის" თოქ-შოუ „დაკარგული დროის" (როგორ სწორადაა შერჩეული ბოღმის თაიგულად ქცეული გადაცემის სახელწოდება, რომელიც ძვირფას დროს მართლაც უაზრო ბუტურში ანიავებს) წამყვანი ტრიო ერთი მთხლის – ვაიკალმოსან **ლაშა ბუღაძისა** და მისი იდეური თანამოაზრეების – ორი მდედრის შემადგენლობით, რომლებიც ისედაც ვერ იტანენ ქართველი ერის საამაყო შვილებს, განსაკუთრებით – სპორტული სამყაროს ლეგენდარულ წარმომადგენლებს და საპარლამენტო სიის წევრობაზე დათანხმებისთვის კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებენ. ბუნებრივია, ფურთხის ტრფიალი მხატვრის – **გია ბუღაძის** გესლიანმა ბუღა ბოკვერმა ბოძებული შესაძლებლობით ამჯერადაც ისარგებლა და ამფსონებთან უნისონში კიდევ ერთხელ უშედეგოდ ურქინა სტალინის გენიას, ოღონდ, როგორც ყოველთვის, რქები ბუმერანგის სახით ისევ თვითონ შეატყდა.

ეშმაკის მოციქულო ნაცებო და მათ კალთას შეფარებულო ფარულო, მაგრამ მაინც ნაცებო: დარწმუნებულნი იყავით სულგაყიდულ გარე მფარველებთან ერთად, რომ ასევე მოხდება 26 ოქტომბერსაც, როცა ქართველი ხალხი მწარე განაჩენს გამოგიტანთ, მანამდე კი მოასწარით და იკუნტრუშეთ, რამდენიც გნებავთ!

**გია პლატონიშვილი**

◉ ლეგიონერი

# ლევანტეს ბრილიანტი

**საქართველოს აღორძინებული საფეხბურთო ნაკრების ახალი ლიდერის გიორგი ქოჩორაშვილის დაწინაურება ვილი სანიოლის სახელს უკავშირდება, რომელმაც 25 წლის ნახევარმცველს ნდობა ზუსტად 1 წლის წინათ გამოუცხადა და მას შემდეგ გამართულ 14 შეხვედრაში შეუცვლელმა ფიგურამ უკვე 2 ბურთის გატანა და 1 საგოლე გადაცემის შესრულება მოასწრო.**

ჩვენი გუნდის ღერძს პოპულარულმა ესპანურმა გამოცემა „ასმა" ვრცელი სტატია მიუძღვნა და მის საკლუბო კარიერასაც სოლიდური ყურადღება დაუთმო, მით უმეტეს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ლა ლიგა – 2-ის სეზონიც ქართველმა ლეგიონერმა წარმატებით დაიწყო და ლევანტეში, რომელთანაც მას მოქმედი კონტრაქტი 2027 წლამდე აქვს გაფორმებული, 3 მატჩში 1 გატანილ ბურთს 1 შედეგიანი პასი შეაშველა.

**„ლევანტეს მოედნის ცენტრში ბრილიანტი ჰყავს, რომელიც ერთა ლიგის „ბ" დივიზიონში აღზევებული საქართველოს ნაკრების საწყის ბრძოლებში პარტნიორთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მან განვლილ ზაფხულში არაერთი წინადადება მიიღო, მაგრამ ჯერჯერობით ლევანტეში მეორე სეზონს ატარებს.**

**ნაკრებისთვის შესანიშნავი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ქოჩორაშვილი საქართველოს ერთა ლიგის მატჩებისთვის დაუბრუნდა, ორივე სასტარტო შემადგენლობაში ჩაატარა და ორივეში გოლი გაიტანა(!).**

**„ქოჩო" ლევანტემ 2019 წლის ზაფხულში მეორე გუნდში სათამაშოდ გაუშვა, ხოლო 2022-2023 წლების სეზონი იჯარით ლა ლიგა 2-ში გადასასვლელად მებრძოლ კასტელონში გაატარა, სადაც კლუბის ფუნდამენტური ფეხბურთელი გახდა.**

**გიორგი ლევანტეს შარშან დაუბრუნდა და მნიშვნელოვან ფიგურად ჩამოყალიბდა, თუმცა საშობაო პაუზის წინ მიღებული სერიოზული ტრავმის გამო 2 თვე გამოტოვა.**

**გამოჯანმრთელების შემდეგ ქართველმა ფეხბურთელმა სწრაფად აღიდგინა კონდიციები და არამარტო ევრო– 2024-ზე სანაკრებო განაცხადში აღმოჩნდა, არამედ გერმანულ ფორუმზეც გაიბრწყინა.**

**და ბოლოს: გამოცდილებისა და ლიდერის უნარების შერწყმით ჯერ მხოლოდ 25 წლის ქოჩორაშვილი ხულიან კალეროსთვის ლევანტეში საყრდენი ფიგურაა და მართალია პოზიციურად მეტოქის კარიდან საკმაოდ შორს თამაშობს, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის, რომ სახიფათო იყოს".**

ლეგიონერთა თემას მორიგი სასიამოვნო ინფორმაციებით ამოვწურავთ: განვლილ ტურში კვლავ ისახელეს თავი – გერმანიის მე-2 ბუნდესლიგაში **გუდუ ზივზივაძემ** დუბლით, ხოლო შედეგიანი გადაცემებით – საფრანგეთის ლიგა – 1-ში **ზურიკო დავითაშვილმა** და ინგლისის ჩემპიონშიფში **გიორგი ჩაკვეტაძემ** (შესაბამისად კარლსრუე, სენტ ეტიენი და უოტფორდი). გარდა ამისა, შტურმის ლიდერი **ოთარ კიტეიშვილი** მოთამაშეთა ასოციაციამ ავსტრიის საუკეთესო ფეხბურთელობაზე წარადგინა.



◉ კორტზე

# ვინ აიღებს ბერლინს?

**20-22 სექტემბერს ბერლინი ჩოგბურთელთა ზეპრესტიჟულ როდ ლეივერის თასის მე-7 გათამაშებას უმასპინძლებს მსოფლიოსა და ევროპის ნაკრებებს შორის. შეგახსენებთ, რომ ბოლო 2 ტურნირი მსოფლიომ მოიგო.**




ამ დღეებში დასახელებული მეტოქეთა შემადგენლობები ასე გამოიყურება:

**მსოფლიოს ნაკრები:** ტეილორ ფრიცი, ბენ შელტონი, ფრენსის ტიაფო (ყველა – აშშ), ალეხანდრო ტაბილო (ჩილე), ტანასი კოკინაკისი (ავსტრალია), ფრანსისკო ჩერუნდოლო (არგენტინა).

**გუნდის კაპიტანი:** ჯონ მაკინროი (აშშ).

**ევროპის ნაკრები:** კარლოს ალკარასი, რაფაელ ნადალი (ორივე – ესპანეთი), ალექსანდრ ზვერევი (გერმანია), დანიილ მედვედევი (რუსეთი), კასპერ რუუდი (ნორვეგია), სტეფანოს ციციპასი (საბერძნეთი).

**გუნდის კაპიტანი:** ბიორნ ბორგი (შვედეთი).

საჩოგბურთო სამყარო არ გამორიცხავს, რომ ეს რაფაელ ნადალისთვის ლეივერ თასის ბოლო გათამაშება იყოს.

**გუშინ:** დევისის თასი. საქართველო – მექსიკა 3:2.

◉ ორიოდე სიტყვით

**ჭადრაკი**

მსოფლიო ოლიმპიადა. მე-4 ტური. **ქალები.** საქართველო – საბერძნეთი 3:1. ჩვენი გუნდი 7 ქულით დაუმარცხებელია და შემდეგ შეხვედრას უზბეკეთთან გამართავს. **ვაჟები.** საქართველო – ინგლისი 2:2. ჩვენი 6-ქულიანი ნაკრები აქაც დაუმარცხებელია და დღეს ინდონეზიასთან ითამაშებს.

**ძიუდო**

ზაგრების გრან-პრი. **ბრინჯაო** – თენგო ზირაქაშვილი (66 კგ).

**კალათბურთი**

**თორნიკე შენგელია** ევროლიგის მოთამაშეთა ასოციაციის პრეზიდენტად მეორე 3-წლიანი ვადით აირჩიეს ბარსელონაში გამართულ ამ ორგანიზაციის მე-7 ასამბლეაზე.

# ბესიკ ხარძიანის მკვლელი თურქეთმა საქართველოს გადმოსცა!



**საქართველოს გენერალური პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, 12 სექტემბერს ბესარიონ ხარძიანის შეკვეთით განზრახ მკვლელობაში მსჯავრდადებულის ფარიდ გურბანოვის თურქეთიდან საქართველოში ექსტრადირება განხორციელდა.**

ფარიდ გურბანოვი საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ბესარიონ ხარძიანის განზრახ მკვლელობის ფაქტზე, ინტერპოლის საერთაშორისო არხებით 2015 წლის 28 აპრილიდან იძებნებოდა.

დადგენილია, რომ ბესარიონ ხარძიანის განზრახ მკვლელობის მიზნით, 2015 წლის 13 იანვარს ფარიდ გურბანოვი ოლექსანდრ დამეტოვის სახელზე შედგენილი უკრაინის რესპუბლიკის მოქალაქის ყალბი პასპორტის გამოყენებით, თანამზრახველთან ერთად თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ჩამოფრინდა. ჩამოსვლისთანავე დამნაშავეებმა მკვლელობისთვის მომზადება დაიწყეს და ამ მიზნით, თბილისში, პეკინის გამზირზე ხანგრძლივი ვადით, საცხოვრებელი ბინა იქირავეს. მათ სპეციალურად შეიძინეს „ჰონდას“ მარკის ისეთი მოპედი (სკუტერი), რომელსაც რეგისტრაცია არ ესაჭიროებოდა, გადაადგილდებოდნენ ჩაფხუტით და ორმხრივი ქურთუკით. მკვლელობისთვის ხელსაყრელი დროის შესარჩევად, ფარიდ გურბანოვმა და მისმა თანამზრახველმა მორიგეობით დაიწყეს ბესარიონ ხარძიანის გადაადგილების კონტროლი.

დამნაშავეები, თვალთვალისას და ნაქირავებ ბინაში ცხოვრებისას, მაქსიმალურად ინარჩუნებდნენ კონსპირაციას. ისინი სისტემატურად იცვლიდნენ ტანისამოსს, ცვლიდნენ გადაადგილებისას მარშრუტის გზებს და საშუალებებს.

2015 წლის 28 მარტს, შუადღის საათებში, ბესარიონ ხარძიანი, რომელსაც ფარიდ გურბანოვი უთვალთვალებდა, ქალაქ თბილისში, მარაბდის ქუჩაზე მდებარე საკუთარ საცხოვრებელ სახლთან მივიდა. სადარბაზოში შესვლისას მას შეჰყვა ფარიდ გურბანოვი და „მაკაროვის“ სისტემის მაყუჩიანი ცეცხლსასროლი იარაღიდან ბესარიონ ხარძიანის მიმართულებით სამი გასროლა, მათ შორის თავის არეში ერთი საკონტროლო გასროლა განახორციელა. აღნიშნულის შედეგად ბესარიონ ხარძიანი ადგილზე გარდაიცვალა.

იმავე დღეს ფარიდ გურბანოვმა და მისმა თანამზრახველმა სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის გავლით, საქართველო დატოვეს. ფარიდ გურბანოვი სამივე ინსტანციის სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია შეკვეთით განზრახ მკვლელობის, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარების, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენების ფაქტებზე და მისჯილი აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა.

რაც შეეხება ფარიდ გურბანოვის თანამზრახველს, უცხო ქვეყნის მოქალაქეს, მას მკვლელობაში დახმარებისთვის მისჯილი აქვს 19 წლით თავისუფლების აღკვეთა და მისი დაკავებისა და ქართული მართლმსაჯულების წინაშე წარდგენის მიზნით, წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნა გრძელდება



**საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გრძელდება გამოძიება ბესარიონ ხარძიანის განზრახ მკვლელობის შემკვეთის და დანაშაულში შესაძლო მონაწილე სხვა პირების დადგენის მიზნით.**

# ხულო-ზარზმის გზა განახლდა

**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, ორი რეგიონის დამაკავშირებელი, ხულო-ზარზმის გზის რეკონსტრუქცია აქტიურად გრძელდება.**

საერთო ჯამში, ასფალტ-ბეტონის საფარი უკვე დაგებულია გზის 31 კმ-იან მონაკვეთზე და გოდერძის უღელტეხილიდან ზარზმამდე მისვლა რეაბილიტირებული გზით არის შესაძლებელი.

განახლდა გზა კურორტ ბეშუმის გადასახვევამდეც. სამუშაოები აქტიურად გრძელდება გზის დანარჩენილ მონაკვეთებზე.

ხულო-ზარზმის გზა შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) – ახალციხის საავტომობილო გზის შემადგენელი მონაკვეთია. რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია უტარდება 47-კილომეტრიან გზას. სარეაბილიტაციო მონაკვეთი დაბა ხულოდან იწყება, გაივლის გოდერძის უღელტეხილს და ადიგენის სოფელ ზარზმამდე მივა.



პროექტის ფარგლებში, ასფალტ-ბეტონის საფარი იგება 2-ზოლიან გზებზე და ინტენსიური საპრევენციო სამუშაოები მიმდინარეობს რელიეფისა და რთული გეოლოგიური პირობების გამო განვითარებულ მეწყრულ უბნებზე.

ხულო-ზარზმის გზა გადის რთულ გეოლოგიურ რელიეფზე და ბეშუმის სამთო-სათხილამურო კურორტს აკავშირებს ბათუმთან და თბილისთან. მისი რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია ხელს შეუწყობს როგორც ზემო აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ისე ტურიზმის განვითარებას.

ხულო-ზარზმის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებასაც და 1.5 სთ-ით შეამცირებს ბათუმიდან ახალციხემდე მგზავრობის დროს.

## დღესასწაული

# ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი „შეუწველი მაყვალი“

**17 სექტემბერს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მარიამ ღვთისმშობლის ხატის „შეუწველი მაყვალი“ ხსენებას.**

ნიშანდობლივია, რომ მარიამ ღვთისმშობელს ხშირად უწოდებენ „შეუწველ მაყვალს“. მოსე წინასწარმეტყველმა ქალწული ღვთისმშობლის სახე იხილა მაყვალში, რომელიც ენთო და არ იწვოდა. მას გამოსახავენ ცეცხლოვანი ნათლით განათებულს.

მაყვალი ანთია და არ იწვის!

ქალწული მარიამი შობს და ქალწულადვე რჩება!

ხატი „შეუწველი მაყვალი“ – რვაქიმიანი ვარსკვლავის სახითაა გამოხატული, რომელიც ორი წვერწამახვილებული წითელი ფერისაა, რომელიც მოგვაგონებს იმ ცეცხლს, მოსეს მიერ ხილული მაყვალი რომ მოიცვა, და, რომელშიც ის ალით გარშემორტყმული დაუწველი დარჩა. ხატის „შეუწველი მაყვალი“ განსაკუთრებული ხელნაწერი არსებობს. ამ კანონის დასაწყისში ასეთი წარწერაა: **„ეს საგალობელი იგალობება მაშინ, როცა ჭექა-ქუხილია და საშიში ხდება მისი არსებობა ან როცა ვინც მოისურვებს, იგალობოს“.**



...ოთხი მახარებლის მონათხრობზე მიუთითებს ხატებზე წითელი ოთხკუთხედის კუთხეებში გამოსახული – ანგელოზი, ლომი, ზვარაკი და არწივი.

**გიული ლიპარტია**

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{16}$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თამარ ოსიაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თამარ ოსიაშვილი (პ/ნ 40001032266), სიღნაღი, სოფელი საქობო, პირველი ქუჩა №72

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
სიღნაღი, სოფელი საქობო, პირველი ქუჩა №72 (საკადასტრო კოდი: 56.03.56.169)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 44393.02 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 16 სექტემბერი, 12:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 27 სექტემბერი, 14:15 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP101881624;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1018816

**6. მოვალე:** თამარ ოსიაშვილი (პ/ნ 40001032266), სიღნაღი, სოფელი საქობო, პირველი ქუჩა №72; ტელ: 599746147;
ილია მაწიაშვილი (პ/ნ 40801042159), სიღნაღი, სოფელი საქობო; ტელ: 571125243

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP101881624; ლოტის ნომერი: 1018816).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 27 სექტემბრის 12:00 საათამდე.

# ჭიათურაში „მესვეტეობა – 2024“ გაიმართა

**ჭიათურის კულტურის ცენტრის ორგანიზებით და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, კაცხის სვეტის მიმდებარე ტერიტორიაზე „მესვეტეობა-2024“ გაიმართა.**

ღონისძიებას ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერი გივი მოდებაძე, მერის პირველი მოადგილე დავით წერეთელი, მერის მოადგილე დავით ბიწაძე, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

„მესვეტეობა-2024“-ის ფარგლებში ჩატარდა სადღესასწაულო წირვა, მოეწყო ადგილობრივ მეწარმეთა პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, დეგუსტაცია, მასტერკლასები. ბუნებრივ კლდეზე ცოცვაზე გაიმართა შეჯიბრება.

კულტურის ცენტრის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის სპეციალისტებმა სტუმრებს მესვეტეობის დღესასწაულის ისტორიული მნიშვნელობა გააცნეს და ხაზი გაუსვეს მესვეტე მამების უდიდეს ღვაწლს, რომლებიც სვეტის ტერიტორიაზე მე-6 საუკუნიდან დამკვიდრდნენ.

ღონისძიების დასკვნით ნაწილში, ჭიათურის მერმა გივი მოდებაძემ სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვებულები დააჯილდოვა.

გივი მოდებაძის თქმით, მესვეტეობის დღესასწაული საუკეთესო საშუალებაა ადგილობრივი კულტურისა და ტრადიციების პოპულარიზაციისათვის და მისი მასშტაბურად აღნიშვნის ტრადიცია აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.



## სანთელი

### მშვიდობით, ზურიკო!



ჩემი და ჩემი მეუღლის ეკატერინე ხვედელიძის სახელით, ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ მსახიობ ზურაბ ბერიკაშვილის გარდაცვალების გამო.

მან სცენაზე გამოჩენიდან მალევე შეძლო საკუთარი ნიჭიერებითა და ინდივიდუალიზმით ქართველი მაყურებლის მოხიბვლა. ზურაბმა, ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, ღირსეული და მნიშვნელოვანი სახელი დატოვა არამარტო თეატრალურ წრეებში, არამედ მთელ ქართველ საზოგადოებაში.

**ვიზიარებთ ზურაბ ბერიკაშვილის ოჯახის, მეგობრების, კოლეგების დიდ მწუხარებას და გულწრფელ თანაგრძნობას ვუცხადებთ მათ.**

**ბიძინა ივანიშვილი**

* * *

ყველასთვის საყვარელი, ნიჭიერი მსახიობი ზურა ბერიკაშვილი 55 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ზურა ბერიკაშვილი მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი იყო. მას არაერთი დასამახსოვრებული როლი აქვს შესრულებული.

ბერიკაშვილს რამდენიმე თვის წინ მოულოდნელად ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნა – მას გული გაუჩერდა. ამან ტვინის დაზიანება გამოიწვია. პაციენტი კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და სერიოზული მკურნალობის კურსს გადიოდა ჯერ გერმანიაში და ბოლოს საქართველოში.

**„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელად თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და სრულიად საქართველოს!**


# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს კოტიკო ტაბატაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** კოტიკო ტაბატაძე (პ/ნ 21001042189), თერჯოლა, ს. სიქთარვა, მე-9 ქ. №129

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

თბილისი, დასახლება ავჭალა 2, ვაჟა-ფშაველას ქ. №13 (საკადასტრო კოდი: 72.13.15.190)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 10000 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 16 სექტემბერი, 12:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 27 სექტემბერი, 14:30 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP101882324;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1018823

**6. მოვალე:** კოტიკო ტაბატაძე (პ/ნ 21001042189), თერჯოლა, ს. სიქთარვა, მე-9 ქ. №129.

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP101882324; ლოტის ნომერი: 1018823).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 27 სექტემბრის 12:00 საათამდე.



# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნანა ქებაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნანა ქებაძე (პ/ნ 47001002119), ახალციხე, ს. აწყური

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ყაზბეგი, გორისციხეს ადმ. ერთეული, კვარტალი 13, ნაკვეთი 929 (საკადასტრო კოდი: 74.04.13.929)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 210837.03 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 16 სექტემბერი, 12:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 27 სექტემბერი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP101881324;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1018813

**6. მოვალე:** ნანა ქებაძე (პ/ნ 47001002119), ახალციხე, ს. აწყური;
გივი ქებაძე (პ/ნ 47001039704), ახალციხე, ს. აწყური

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP101881324; ლოტის ნომერი: 1018813).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 27 სექტემბრის 12:00 საათამდე.

# იცნობდეთ, პრემია „საგურამოს“ 2024 წლის ლაურეატები

**12 სექტემბერს ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმში დასახელდნენ პრემია „საგურამოს“ 2024 წლის ლაურეატები.**



პრემია „საგურამო“ და ილიას მედალი, „მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა“, ქართული კულტურისა და სულიერების წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის მიენიჭათ:

პოეზია – **თამაზ ბარჯაძე;**

პროზა – **მიხო მოსულიშვილი;**

კრიტიკა – **გიორგი ხორბალაძე;**

თარგმანი – **ლანა ღოღობერიძე;**

ჰუმანიტარული მეცნიერება – **ელგუჯა ხინთიბიძე, ვახტანგ გურული;**

ხელოვნება – **ნინო ჩაკვეტაძე;**

ილიას მედალი, „მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა“, ქართული კულტურისა და სულიერების წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის გადაეცემა **მზექალა შანიძეს.**

პრემიების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართება 2024 წლის 8 ნოემბერს, ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს.

# „ილია თანამედროვე პოეზიაში“ კონკურსის გამარჯვებულები გამოვლინდნენ

**12 სექტემბერს, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღეს, ყოველწლიურად ხორციელდება პროექტი – „დღე, როცა ვერ მოჰკლეს ილია“.**

პროექტის არსებობის მეორე ათწლეული განახლებული ღონისძიებებით დაიწყო.

ორგანიზატორების – „ილია ჭავჭავაძის საქველმოქმედო ფონდისა“ და საზოგადოებრივი გაერთიანება „ეროვნული იმპერატივის“ თაოსნობით, წელს, 4 ივლისს, გამოცხადდა ლიტერატურული კონკურსი, რომელიც ილია ჭავჭავაძის შესახებ ახალი პოეტური ნაწარმოებების შექმნას ითვალისწინებდა.

როგორც „ილია ჭავჭავაძის საქველმოქმედო ფონდის“ თანადამფუძნებელმა, რეჟისორმა **გიორგი სავანელმა** აღნიშნა, კონკურსის მიზანი იყო:

– ილიას ფენომენის/არსისა და იდეის აქტუალიზაცია სალიტერატურო და საჯარო სივრცეში;

– ილია ჭავჭავაძის პერსონის და მოღვაწეობის გააზრება და გადააზრება პოლიტკონიუნქტურის გარეშე, თანამედროვე კონტექსტში, ერთიანი ეროვნული და ევროპული პერსპექტივიდან გამომდინარე; – ილიას შესახებ ახალი ლიტერატურული/პოეტური ნიმუშების შექმნა და პოპულარიზაცია.

ლიტერატურული კონკურსის დაჯილდოების ცერემონია 12 სექტემბერს თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ილიას და აკაკის ძეგლის წინ გაიმართა, რომლის მხარდამჭერი იყო ქალაქ თბილისის მერია.

კონკურსის „ილია თანამედროვე პოეზიაში“ გამარჯვებულები, ილიაზე საუკეთესო ლექსების შექმნისთვის გახდნენ: პოეტები **ია ხასაია, ჯემალ ინჯია** და **გია ხოფერია,** რომელთაც კონკურსის ოფიციალური დიპლომი, 1000-ლარიანი პრემიაც და კონკურსის პარტნიორების – „თბილისის მუზეუმების გაერთიანებისა“ და მეღვინეობა „შუმის“ საჩუქრები გადაეცათ.

ჟიურის გადაწყვეტილებით, ასევე გამოვლინდა დამატებით სამი ავტორი, რომელთაც ჟიურის სპეციალური დიპლომები გადაეცათ. ლექსში საკონკურსო თემის ორიგინალური გააზრებისთვის დიპლომები მიენიჭათ – **დავით შემოქმედელსა** და **ბაბა გოგსაძეს,** ხოლო პოეტი **ბათუ დანელია** დაჯილდოვდა ჟიურის სპეციალური დიპლომით ილიას პოეტური ტრადიციის გაგრძელებისათვის ლექსისათვის – „ილიას დღეს“, რომელსაც 500-ლარიანი ფულადი პრემიაც გადაეცემა.

# ევროპაში პირველად ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ იტალიურ ენაზე აჟღერდა

**იტალიაში, ქალაქ კატანიაში, ზაქარია ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის“ პრემიერა გუშინ საღამოს გაიმართა.**

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო ულოცავს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრსა და მთელ შემოქმედებით ჯგუფს კიდევ ერთ ისტორიულ საერთაშორისო პროექტს და წარმატებულ საპრემიერო ჩვენებას უსურვებს.

„თბილისის ოპერის თეატრის მორიგი მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტი ოქროს ასოებით ჩაიწერება ქართული მუსიკის ისტორიაში. მასიმო ბელინის სახელობის თეატრის სცენაზე ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ ტრიუმფალური წარმატებიდან ერთი წლის შემდეგ წარმოდგენილი კიდევ ერთი ქართული ოპერის აჟღერება კი უფრო მეტად გაამყარებს შემოქმედებით კავშირს საქართველოსა და იტალიას შორის.






# ქუთაისში ანა კალანდაძის ბიუსტი გაიხსნა

**ქუთაისში, ახალგაზრდობის პარკში, ანა კალანდაძის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, პოეტის ბიუსტი გაიხსნა.**

ანა კალანდაძის ბიუსტი ქუთაისის მერიის მხარდაჭერით შეიქმნა. ძეგლის ავტორია მოქანდაკე გიორგი კიკვაძე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი **დავით ერემეიშვილი,** იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **ლევან კიკნაველიძე,** მაჟორიტარი დეპუტატი **ზაზა ლომინაძე,** ჩოხატაურის საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი კუჭავა,** ადგილობრივი ხელისუფლების და საზოგადოების წარმომადგენლები.

ქუთაისის მოზარდ-მაყურებელთა ახალგაზრდული თეატრის „მარჯანიშვილელების“ დასმა წარმოადგინა ანა კალანდაძის ლექსებზე შექმნილი ლიტერატურული კომპოზიცია.

გამორჩეულმა ქართველმა პოეტმა ანა კალანდაძემ სკოლა ქუთაისში დაამთავრა და მისი პირველი ლექსებიც სწორედ ამ ქალაქში დაიწერა.

ანა კალანდაძის ბიუსტის დადგმა იუნესკოს შემოქმედებითი ქსელის ქალაქში მნიშვნელოვანი მოვლენაა ქუთაისის ლიტერატურულ ცხოვრებაში.

# „ანტიკვარიატი“ — „ოსკარის“ ცერემონიაზე

**2024 წელს „ოსკარის“ 97-ე ცერემონიაზე საქართველო საკონკურსო ფილმის სტატუსით რუსუდან გლურჯიძის ფილმს – „ანტიკვარიატს“ წარადგენს. ინფორმაციას საქართველოს ეროვნული კინოცენტრი ავრცელებს.**




12 სექტემბერს კინოცენტრის ორგანიზებით დადგენილი სპეციალური კომისიის წევრების მიერ ფარული კენჭისყრის საფუძველზე გამარჯვებული ფილმი შეირჩა. ხმები ასე გადანაწილდა: ჟიურის ოთხმა წევრმა ხმა დეა კულუმბეგაშვილის ფილმ „აპრილს“ მისცა, ხოლო ხუთი ხმით კონკურსში გამარჯვებული რუსუდან გლურჯიძის ფილმი გახდა. სხვა საკონკურსო ნამუშევრებს ხმები არ მიუღიათ.

საქართველოს სახელით ამერიკის კინოაკადემიის 2024 წლის „ოსკარზე“ სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციისთვის წარსადგენი საპროდიუსერო კომპანიების განაცხადების მიღება 2024 წლის 16 აგვისტოს დაიწყო და ამა წლის 6 სექტემბრამდე გაგრძელდა. კინოცენტრის ორგანიზებით გამართულ კონკურსში საპროდიუსერო კომპანიებისგან წარდგენილი იყო ხუთი ფილმი: **„სიცოცხლიდან სიცოცხლემდე“** (რეჟისორი და პროდიუსერი – ბექა სიხარულიძე); **„კაცი, რომელიც ჯიხურთან იდგა“** (რეჟისორი დავით ქაფიაშვილი; პროდიუსერი ხათუნა ვაშაძე); **„ეშმაკის სამოთხე“** (რეჟისორი ხათუნა ვაშაძე; პროდიუსერი გიორგი აზნაური); **„ანტიკვარიატი“** (რეჟისორი რუსუდან გლურჯიძე, პროდიუსერი ზურაბ მაღალაშვილი) და **„აპრილი“** (რეჟისორი დეა კულუმბეგაშვილი, პროდიუსერი არჩილ გელოვანი).

# საერთაშორისო მარინისტული ფესტივალი — ფოთში




**14 და 15 სექტემბერს ფოთში პირველად საერთაშორისო მარინისტული ფესტივალი ჩატარდა.**

„ფოთის კულტურის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, ფოკუსშია ფოთი, როგორც კონცეპტუალური ფესტივალების ქალაქი. პროექტი 3 ნაწილისგან შედგება: ადგილობრივი კულტურის საწარმოების მხარდაჭერა, ფოთის საზღვაო ხელოვნების რეზიდენციის პროგრამა, კონცეპტუალური საზღვაო ფესტივალი.

ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილი იყო სახელოვნებო, შემოქმედებითი, შემეცნებითი და გასართობი საფესტივალო აქტივობები-მასტერკლასები, გამოფენები, ინტერაქტიული სასწავლო აქტივობები, პერფორმანსები, ვიქტორინები, შეჯიბრებები, კონცერტები – ქეთი ფარესაშვილის და ჯგუფი „ალეგროს“ მონაწილეობით.

ეს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ოთხწლიანი პროექტია, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში — განსაკუთრებით კი დედაქალაქის სტატუსის არმქონე დასახლებებში — კულტურისა და შემოქმედებით სექტორებს უჭერს მხარს. პროექტს ახორციელებენ გოეთეს ინსტიტუტი (ხელმძღვანელი), ჩეხეთის ცენტრები, დანიის კულტურის ინსტიტუტი და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი (**Institut Français de Géorgie**).

## უცხოური ვალუტის კურსი:

**აშშ დოლარი - 2.6970; ევრო - 2.9786;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5271;**
**100 რუბლი - 2.9597; თურქული ლირა - 0.0793;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.5858;**
**1000 სომხური დრამი - 6.9555.**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 18 სექტემბერს